# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:**

[ტფ]ილისი, რუსთაველის პრ ასპექტი № 11 რედაქცია და კანტორა [ღი]აა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის. ტელეფ. № 15—73.

[მი]სამართი დეპეშებისთვის: თბილისი „საქართველო" ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:**

განცხადება მიიღება ნაშუადღევის 1-ლ საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 10 მ. მე-4 გვერდზე—8 მ.

**სამგლოვიარო** განცხადებანი 30 სტრიქონი—350 მ. 1-ლი საათის შემდეგ 200 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:**

გაზეთი „საქართველო" ქალაქსა და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—300 მან. ცალკე №—10 მ.

[ყოვე]ლიწადი მეექვსე. | კვირა ენკენისთვის 1[illegible]. 1920 წ. № 98 | ფასი 10 მანეთი



## ეროვნულ-დემოკრატიული

**✖✖ პარტიის მთავარი კომიტეტი ✖✖**

[გადმ]ოთავსებულია კვლავ ძველ ბინაზე დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5. ქარვასლა.

მდივნის ნახვა შეიძლება დილის 8—11 და საღამოს 7—9 საათამდე.

---

გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ ლევანი და მართა ჩიქოვანები, რომ სექტემბრის 14-ს არის მეორმოცე დღე ტრაგიკულად დაღუპული საყვარელი შვილისა

### თამარის

წირვა და პანაშვიდი იქნება ქუთაისში საფირჩხის ეკლესიაში დილის 10 საათზე. 3 3122 2

---

ანტონ იესეს ძე მამინაშვილი ულრმეს მადლობას უძღვნის ყველა იმათ, ვინც წერილობით და თანადასწრებით გაიზიარეს მისი მწუხარება შესახებ უძვირფასესის მის მეუღლის

### მარიამის

დაკარგვის გამო. 1—3124—1

---

ტფილისის ვაჟთა მეოთხე გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო გულითადი და ღრმა მწუხარებით აუწყებს მშობელთა და მოწაფეებს, რომ სექტემბრის 10 ს უეცრად გარდაიცვალა დიდად პატივცემული და საყვარელი დირექტორი

### მიხეილ ყარამანისძე ზაალიშვილი

ცხედარს გამოასვენებენ დღეს, კვირას დილის 9 ს. გიმნაზიის შენობიდან (ბელკიის ქუჩა 4) დიდუბის ეკლესიაში დაკრძალვა მოხდება ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. 1—1 3125

---

## სხვაგან სად! თუ არ სასადილო

## „ტაშირო"?!

(ყოფილი „ეკონომია") შტაბის ქუჩა

**პუშკინის ბაღის პირდაპირ**

ვისაუზმოთ დილ. 0-12 ს.

ვისადილოთ „ 12--6 ს.

ვივახშმოთ „ 6--12 ს.

ამერ-იმერულ გემრიელ საჭმელებით, და დავლიოთ მაგარი სასმელები და მადნეულ წყლები.

---

## წლიური კრება

ქართული **სამუსიკო** საზ-ბისა დანიშნულია 19 სექტემბერს დილის 10 საათზე, პეტრე დიდის ქ. № 8.

თუ ქორუმი არ შესდგა, ერთ საათის შემდეგ კრება ჩაითვლება კანონიერად. 2—23—1.

---

**ამ წლის ენკენისთვის 2-დან კვლავ გამოდის**

ყოველ კვირეული სამეურნეო, საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

## „სასოფლო გაზეთი"

გაზეთს ექნება შემდეგი განყოფილებანი:

საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მებაღეობა და მევენახეობა, მესაქონლეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, კოოპერაცია, სახალხო განათლება, სახალხო მკურნალობა, სასოფლო ცხოვრება და სხვა...

„**სასოფლო გაზეთში**" მონაწილეობას მიიღებენ მცოდნე სპეციალისტები და გამოცდილი მეურნენი.

რედაქცია თავის მკითხველებს მიაწვდის რჩევას და დარიგებას იურიდიულ, სამკურნალო და სამეურნეო საკითხებში.

გაზეთის ფასი თვიურად 40 მან. თითო ცალი 10 მან.

კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის. 9—2 საათამდე, მისამართი რუსთაველის პროსპექ. № 25, გაზ. „საქართველოს"-ს ბინაზე. 24 7 1

---

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-კვირეულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ.

## „ახალ სხივზე"

გაზეთი გამოდის **გრიგოლ გიორგაძის** რედაქტორობით, ღირს თვეში 20 მან. ფული უნდა გამომიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, პეტრე დიდის ქუჩა „ახალსხივს" 6—3

---

## გაზ. „საქართველოს" კონტორა

ამით აცხადებს ხელის მომწერთა საყურადღებოთ; რომ გაზეთი თვიურად ღირს 350 მან. ვისაც ამაზე ნაკლები აქვს შემოტანილი და ხვედრ ფულს დროზე არ გადაიხდის, გაზეთის გზავნა მოესპობათ.

---

## ქართული დრამის დირექცია

იწვევს თანამშრომლებს

### ქალ-ვაჟებს

გამოცდა ოთხშაბათს 2 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ქართული დრამის თეატრის სცენაზე (ყოფილი არტისტ. საზოგადოების თეატრი) პირობების გაგება იქვე, ყოველდღე, დღის 2-ის ნახ. საათამდე, სამხატვრო ნაწილის გამგე-დირექტორთან. 3—17—2

---

## ქართული კლუბი

ორშაბათს, 13 სექტემბერს

### მე-6-ე „სიმფონიური" კონცერტი

(უ ფ ა ს ო)

პ. პ. ილჩენკოს ლოტბარობით. მონაწილეობენ თეატრის არტისტები ქ. ქ. ბურაგო-ცეხანოვსკისა და ბ. ბალაბანი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზე. 1—26—1

---

## განცხადება

მაქვს პატივი ვაცნობო ქ. ფოთის პატივცემულ საზოგადოებას, რომ მე გავხსენი საკუთარ შენობაში ნიკოლოზის ქუჩაზედ არა განყოფილება კახური ღვინის „მელაანის"-ს ანდრონიკოვი და ამხ. როგორც ეს იყო ჩემ მიერ გამოცხადებული, არამედ ვაჭრობ **ამავე ღვინოებით.**

1—3120—1 პატივისცემით: ი. მ. მაღლაკელიძე.

---

## საჭიროა
## მოსამსახურე ქალი.

მოიკითხეთ „საქართველოს" კანტორაში. 4—7—

---

### დ რ ო ე ბ ი თ ი   მ ო წ მ ო ბ ა

რომელიც 1 კომისარიატისაგან არის მიცემული ალექსანდრა გიორგის ასულის ჩენენოვის სახელზე დაიკარგა და ამიტომ გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

1—3123—4 ალექსანდრა ჩენენოვისა.

---

## მოითხოვეთ ყველგან

ბუნებით დაჯილდოებული-საუკეთესო ხარისხის

## კ ო ნ ი ა კ ი

**გაწმენდილი-პურის არაყი და ტკბილი სასმელები**

### დ. ი. კალანდაძისა

შეიძლება მიიღოთ ბითუმად და წვრილად თვით ქარხანაში ვაგზლის ქ. № 5


## ამიერკავკასიის უნივერსიტეტის გაუქმება.

ამას წინად მთავრობის დადგენილებით თანახმად სპეციალური კომისიის წარდგენისა დაიხურა ამიერკავკასიის უნივერისიტეტი, კომისიამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ივანე ჯავახიშვილი, მოახდინა ყოველმხრივი რევიზია ამ კერძო კურსებისა. რევიზიის შედეგი მეტად სამწუხარო გამოდგა კერძო უნივერისიტეტისათვის: აღმოჩნდა მრავალი არსებითი დეფექტები სამოსწავლო სამეცნიერო დარგებში რომელიც სრულებით არ შეეფერება უმაღლეს სასწავლებლის დანიშნულებას.

კომისიის მუშაობასა და დარდაწყვეტილებას არავ სთვის არ უნდა მიეცა საბუთი ეფიქრა, რომ სახალხო განათლების სამინისტრო მტრულ ტენდენციით ყოფილიყოს განწყობილი იმ სას-

# დ ღ ე ს

ლონდონში ბოლშევიკების შეთქმულება აღმოაჩინეს ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ.

გერმანული ცნობებით ბოლშევიკები თანახმა იქნებიან ზავი შეჰკრან ანტანტთან.

ინგლისმა საზღვაო ბლოკადა გამოაცხადა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

საფრანგეთ-ბელგიის სამხედრო კავშირი დამტკიცდა ხელშეკრულების ძალით ბელგიის სრული დამოუკიდებლობა მტკიცდება და უქმდება მისი ვალდებულება ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ.

საბჭოთა რუსეთში 10 საათის სამუშაო დღეს აწესებენ.

მენჯინის მახლობლად სპარსეთის ჯარმა ბოლშევიკთა 10 ათასი კაცისაგან შემდგარი საექსპედიციო ჯარი გაანადგურა.

## წერილები:

მეთაური: ამიერკავკასიის დახურვა.

პრესა.

გენერალი კვინიტაძე.

ფელეტონი: რაჟდენ გვეტაძე: მწუხარება თბილისით. გრიგოლ რობაქიძე: მარუთა შუამდინარელი.

ჩვენი კორესპონდენტები:

პატარა ლიახვის ხეობა.

---

წავლებლისადმი, რომელსაც წინაწლებში მთავრობა სუბსიდიებს აძლევდა სწორედ ამ სამინისტროს შუამდგომლობით. ისიც აშკარა უნდა იყოს პირუთვნელი და ცოტად თუ ბევრად პატიოსანი ადამიანისთვის, რომ მთავრობის დადგენილება გამოწვეულია მეტად სერიოზული მიზეზებით, რომელიც საფუძვლად ედო კომისიის მოხსენებას და რომელთათვისაც არ შეეძლო ინგარიში არ გაეწია რესპუბლიკის მართებლობას.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთ თბილისის გაზეთები და უფრო-კი სომხურ „სლოვო"-ში დიდი აურზაურია ატეხილი ამ აქტის გამო! დაქირავებული მწერლები „ნინგისცოებლებს" აფრქვევენ „საუკეთესო" აკადემიური ცენტრის „დარბევის" გამო და ზოგიერთი მათგანი ისე შორსაც მიდის, რომ მთავრობის ამ დადგენილების ძალით საბჭოთა რუსეთის „ცივილიზაციის დემოკრატიზაციას" უპირატესობას ანიჭებს საქართველოში გამეფებულ „ვანდალიზმთან".

ამ შემთხვევაშიც „პრიორიტეტი" ეკუთვნის „სლოვო"-ს ერთგულ თანამშრომელს ბ-ნ ლევან ყიფიანს, რომელმაც ვალად ჩასთვალა თავისი თავი გამოჰხმაურებოდა მთავრობის აქტს ისევე, როგორც სხვა „საზოგადოებრივ" მოვლენას.

„აკადემიური აზროვნება ვერ შეურიგდება იმას, რომ ახეთის სისწრაფით იკეტებოდეს უმაღლესი სასწავლებელი", გაიძახის ეს ყველა არა ქართული მოვლენის აზიოტური დამცველი და ისიც კი ვერ შეუგნია ამ საცოდავ „ვექილს", რომ თუმცა მთავრობის დადგენილება ამიერკავკასიის კერძო უნივერსიტეტის დახურვის შესახებ „სწრაფად" მოხდა, მაგრამ იგი იყო მოფიქრებული დასკვნა იმ დასაბუთებულ მოხსენებისა, რომელიც მთავრობას სპეციალურმა კომისიამ წარუდგინა, როგორც შედეგი თვისი თვენახევარი მუშაობისა.

იქვე თავის „ფილიპიკაში" ლ. ყიფიანი ორიოდე კუდმოკლე მოსაზრებასაც წარმოსთქვამს ეროვნულ უმცირესობათა უფლების დასაცავად, თითქოს საქართველოს მთავრობის შეუფერებელ და ორგანიულ დეფექტებით სავსე საწავლებლის მოსპობით ართმევს შემდგომი რომელიმე ერისა და მოსახლეობის უდავო უფლებანი დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ასე პოზიტიურად ესმის „მოწინავე პუბლიცისტს" სახელმწიფო ერთეულში უფლებისა და მოვალეობის დასაწილება.

წერილი შეიცავს კიდევ ერთს ისეთს ადგილს, რომელსაც უთიგო „სუნიც" უდის! უცხო ელემენტებში გავრცელებული გაზეთი აცხადებს ჩვენს მთავრობას მოსწავლე ახალგაზრდობისადმი უდიერ მოპყრობაში: საქართველოს მთავრობამ ქუჩაში გამოყარა რუსი, სომეხი და ებრაელი სტუდენტობა;—ამაზე შორს ბარბაროსობა ვეღარ წავა მეოცე საუკუნეში დემოკრატიული მთავრობა კულტურის, ცივილიზაციის ჩირაღდანს შეუბრალებლად უქრობს სწავლისათვის გატაცებულ მოზარდ თაობას...

მართალია ეს?

ჩვენ ვიცით და „სლოვო"-ს ინსინუატორსაც მოეხსენება, რომ მთავრობამ იმავ სხდომაზე, როდესაც გადასწყვიდა ბედი კერძო უნივერსიტეტისა, დაადგინა სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნას პარალელური კურსები რუსულ ენაზე, სადაც სწავლას დაამთავრებენ კერძო უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტები და მიიღებენ სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომს. კერძო უნივერსიტეტის ლექტორები, რომელთაც ხარისხი უფლებას აძლევს ჩაირიცხებიან პროფესორებად.

ეს არის მოსწავლე ახალგაზრდობის ქუჩაში გამოდევნა?!

სომხური გაზეთის თანამშრომელი მაინც გაიძახის, რომ ასეთი დატრიალება საქმისა არ არის დამაკმაყოფილებელი რადგანაც პარალელურ კურსებს დროებითი ხასიათი ექნებაო. ამას სწერენ იმ სასწავლებლის დამცველნი, სადაც თავი მოუყრიათ რუსეთიდან ჩამოსულ გასტროლიორებს, რომელნიც მხოლოდ თავშეფარებულნი იყვნენ ჩვენს რესპუბლიკაში და ელოდებოდნენ შესაფერ პირობებს კვლავ თავის სამშობლო—რუსეთში გასამგზავრებლად.

გაზეთ „სლოვო"-ს უკანასკნელი კომპანია მთავრობის აქტის გამო საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორის შემუშავებულის სისტემით ჩვენი უამრავი მტრები ცდილობენ საქართველოს სახელმწიფოს სახელის გატეხას უცხო ხალხის თვალში.

## პრესა

ვინც თვალყურს ადევნებს იმ კამათს, რომელიც გაზ. „ერთობასა" და „კომუნისტს" შორის სწარმოებს, ხშირათ მინაგან საყურადღებო ცნობებს ამოიკითხავს მენშევიკების მოღვაწეობის შესახებ.

საქართველოს მენშევიკები დღეს მხოლოდ რუს ბოლშევიკებს უწევენ ანგარიშს და ისევე, როგორც წინეთ ევროპის წარმომადგენლებს არწმუნებდნენ, რომ ისინი ყოველთვის ბოლშევიკების წინააღმდეგნი იყვნენ და ანტანტის ჯაოების საქართველოში ყოფნის დროს, „ერთობის" ფურცლებზე იშვიათად თუ ამოიკითხავდით სოციალისტურ ლოზუნგებს, დღეს, სრულებით სხვა მხრივ მიასუხებს თავისი იდეოლოგიის იალქანი და იმავე გაზეთში ასეთს მარგალიტებს ვკითხულობთ: „ერთობელები" 1919 წლიდან ომის წინააღმდეგნი იყვნენ, რომ საქართველოს მაშინ, ამიერ-კავკასიის ს. დემოკრატიული ორგანიზაციები სწორეთ ზავის მოსურნეობას აყენებდნენ." „მენშევიკებმა წამოაყენეს ლოზუნგათ არა იმპერიალისტების წინაშე დაჩოქება, არამედ, ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო".

აი რას ამბობენ დღეს ჩვენი მენშევიკები; ისინი, „რასაკვირველია, საესებით მართალნი არიან და ეს ლოზუნგები მათი ბუნებიდან გამომდინარეობენ. ამას ჩვენ ყოველთვის გრძნობდით, მაგრამ მენშევიკები და მათი პოლიტიკის მოტრფიალენი ყოველთვის წინააღმდეგში გვარწმუნებდნენ.

1919 წლიდან ისინი ომის წინააღმდეგნი ყოფილან და ყოველთვის ზავს ითხოვდნენ.

მაგრამ რა დრო იყო ეს დრო? მაშინ ილაშქრებდა ჩვენს წინააღმდეგ გენ. დენიკინი, მაშინ ოცდაოდენ საქართველოზედ ბოლშევიკები და ამ წელს იყო სწორეთ ომი სომხეთთან!

ეხლა ირკვევა, რომ იმ დროს, როდესაც მთელი საქართველო გაერთიანებული აღფრთოვანებით იარაღის ქვეშ დადგომას ისწრაფოდა გაკადნიერებულ სომხეთის წინააღმდეგ, ჩვენი მენშევიკები, რომელთაც ხელთ ეპყრათ საჭეები სახელმწიფოსი და ბედი საქართველოსი, წინააღმდეგნი იყვნენ ომისა!

როგორ მოგწონთ ეს? და განა ამიტომ არ მოხდა, რომ გამარჯვებულმა საქართველომ სამარცხვინო ზავი შეჰკრა თავგასულ სომხეთთან და უდაო მოსაზღვრე ნაწილებიც კი სადაო გახადა?

ამ სამარცხვინო ამბავით მენშევიკები დღეს ურცხვადაც კი ტრაბახობენ, რომ ბოლშევიკების გული მოიგონ!

„განა პირველ მოთხოვნისთანავე არ შეეკარით ზავი სწორეთ იმ მომენტში, როცა ჩვენი იარაღი გამარჯვებული იყო?—სწერს გაზეთი „ერთობა".

დიახ, ჩვენ გამარჯვებული ვიყავით, მაგრამ იგი მაინც წავაგეთ; ჩვენ გავიმარჯვეთ და რაც სადაო იყო სომხეთისათვის და უდაო უნდა გამხდარიყო ჩვენთვის, ამის ნაცვლად ის, რაც უდაო იყო ჩვენთვის, სადაო გახდა სომხეთისათვის.

ამას ეძახიან მენშევიკები ზავს „უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ!"

## გენერალი კვინიტაძე.

ომის აჩრდილი თავიდან მოსცილდა საქართველოს. თავდაცვის საბჭო დაიშალა და საერთო დემობილიზაციაა გამოცხადებული. ასეთ დროს თავისთავად ხდება საჭირო. შეფასება გაკეთებული საქმის და ხალხს ეუწყება ომის შედეგი.

შეიძლება არასდროს არ ყოფილა საქართველო ისეთს კატასტროფიულ მდგომარეობაში, როგორც აზერბაიჯანთან ომის დროს იყო.

ამ ომს გაუგებრობით ჰქვია აზერბაიჯანთან ომი, ეს იყო ომი მოზღვავებულ ბოლშევიზმის ურდოებთან.

ბოლშევიზმის ტალღებმა წალეკეს გენერალ დენიკინის მოხალისეთა არმია, დამარცხებული გენერალი ინგლისში გარბოდა, შემდეგ კომუნიზმმა წალეკა მთიელთა რესპუბლიკა და ნიაღვარის მოვარდნის სისწრაფით დაამხო აზერბაიჯანის რესპუბლიკა. განჯის ამბების მოგონება ალბათ დიდხანს დასტანჯავს მშვიდობის მოყვარულ თაობებს.

ჯარი საქართველოს მოადგა და მუხანათურათ მოაწვა კომუნიზმის ზღვა საქართველოს საზღვრებს, ფოილოს ხიდი ააფეთქა კიდეც ნიაღვარმა და ახლო იყო საქვეყნო საფრთხე.

მაგრამ აქ გამოიჩინა ქართველმა ჯარმა უდიდესი მამაცობა და სიფხიზლე,—კომუნისტებმა დიდი სკანდალი გადაიტანეს და სასტიკი დამარცხებაც გაიცადეს.

როგორც შემდეგ გამოირკვა კომუნისტების მთავარი შტაბი მოსკოვში შიშლოდა ამ ამბებს და აფრთხილებდა კიდეც თავის აგენტებს, მაგრამ მათ დაფის გვირგვინები აწუხებდენ, სამაგიეროთ კი მიიღეს დიდი სირცხვილი.

ვინ არის მთავარი მიზეზი ამ ომის მოგების?

ქართული ჯარი მამაცია და აგრეთვე გვარდიაც, მაგრამ სტრატეგიის ელემენტარული ტეზისია, რომ კარგი მთავარსარდალი კარგ. ჯარათ ღირს. და ამ ტეზისის სიმართლე საქართველომაც იცის.

როგორც კი დადგა განსაცდელის ჟამი სცენაზე გამოჩნდა გენერალი კვინიტაძე.

არავის არ ახსოვს დამფუძნებელ კრებაში ისეთი ოვაციები, როგორითაც გენერალ კვინიტაძეს შეხვდენ. მან გააერთიანა ოპოზიცია და მართველი პარტია.

ეს იყო დღე, როცა პატიოსნება, მამაცობა და ჭკუა მთავარ სარდალის, ღირსეულათ იქნა დაფასებული.

გენერალი კვინიტაძე ყოველთვის მოულოდნელათ გამოჩნდება.

კვინიტაძე შენახული მთავარი არტილერიაა ჩვენი რესპუბლიკის და მას ბევრი ომებიც მოუგია.

სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ არავითარი აქტი არ აღნიშნავს ამ გენერალის ღვაწლს.

ამის მიზეზი გენერლის თავმდაბლობაა ალბათ, მიტომ რომ ის თვითონ ერიდება სახელს. იგი სამხედრო რელიაციებსაც კი არ აწერს ხელს, ამით კი ხალხს შეეძლო გაეგო მთავარსარდლის სახელი.

ამიტომ გენერალი პოპულიარულია მხოლოთ ჯარში და სხვაგან არც კი იცნობენ.

მით უმეტესს მოსალოდნელია, რომ მთავრობა დააფასებს გენერალის ღვაწლს და შრომას და სამადლობელი აქტით აღნიშნავს ომის მოგებას, ასე რომ როცა შემდეგი ომი იქნება ხალხი უფრო იცნობდეს და ენდობოდეს იმ გენერალს, რომელმაც ეს დაიმსახურა.

ყოველ შემთხვევაში რესპუბლიკაში ჯერ არავის დაუმსახურებია მეტი მადლობა და მეტი სახელი.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ გენერალი ბალო მაკამცილის ისტორია, რომელზედაც ასე ლაპარაკობდა ყოფილი სამხედრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე, სადაც უმადურობამ დაჩრდილა წამებული გენერალის ღვაწლი, უკანასკნელი იქნება. და რესპუბლიკაში ყველა მიიღებს საჭირო მადლობას, როცა ის დაიმსახურებია.

ჩვენ სხვა დროისთვის გადავდებთ აზერბაიჯანთან ომის შედეგების დაფასებას. ეხლა პირველი მადლობა გენერალ კვინიტაძეს...

## უცხოეთი

## ოსმალეთში.

მუსტაფა-ქემალი და ოსმალეთის ხელშეკრულება.

მუსტაფა ქემალის შემდეგი დეპეშა გვეზავნია მოსკოვში ნარიმანოვისთვის და მე-11 დივიზიისათვის:

„ინგლისიდან იტყობინებიან, რომ სამბოლის მთავრობას ხელი მოუწერია ანტანტის მიერ ნაკარნახევ საზავო ხელშეკრულებაზე. ანგორას თურქული რევოლუციური მთავრობა, რომელიც მხოლოდ არის აღჭურვილი ანატოლიის და რუმელიის ყველა მცხოვრებთა ნდობით, ჰკიცხავს ამ სახირცხო აქტს და აცხადებს მთელი ქვეყნის წინაშე, რომ ის თვით გააგრძობს ომს ანტანტის წინააღმდეგ უფრო მეტის ძალით და ენერგიით."—

(„ნორ.—აზ.").

## სომხეთში.

ა. ხატისიანი ეგვიპტეში.

სომხეთის რესპუბლიკის სტამბოლის დიპლომატიურ წარმომადგენელს ტახტაჯიანს შემდეგი დეპეშა მიუღია ეგვიპტიდან:

„ამ თვის 17-ს აქ ჩამოვიდა ა. ხატისიანი. ალექსანდრიის და კაიროს სომხებმა დიდებული დახვედრა გაუმართეს. აღუთქვეს დამოუკიდებლობის პირველი სესხის წარმატება, და გარდა ამისა შესწირეს 4000 ინგლისური ოქრო, როგორც ოქროს ძირითადი თანხა. ხატისიანმა იახლა ინგლისის უმაღლესი კომისარი. სულთანმა მიუგზავნა თვისი კომენდორი და განაცხადა სურვილი ნახვის. სულთანმა მოულოცა ახლად მოწყობილი სომხის სახელმწიფოს, განაცხადა თვისი სიმპატია სომხის ხალხის მიმართ და კმაყოფილება ეგვიპტის სომხებისადმი იმისა და მისი ოჯახობის და მთავრობისადმი ლოიალური დამოკიდებულებისათვის. გამოსთქვა სურვილი სომხის დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნის და სომხეთ ეგვიპტეს შორის სავაჭრო დამოკიდებულების განმტკიცების შესახებ.

ხატისიანი გაემგზავრა პირეაში ამ თვის 24-ს, სადაც მივა 27-ს. იქ დაჰყოფს 2 დღეს და შემდეგ გაემგზავრება ანგორაში, თანახმად მისი ინსტრუქციებისა.—

(„ხორ აზ.").

## საინფორმაციო განყოფილების ცნობები.

შეთქმულება ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ.

**ლონდონი** აგვისტოს 21. „დეილი ექსპრესი" იუწყება: შვეიცარიის პოლიციამ ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ ბოლშევიკების შეთქმულება აღმოაჩინა. მიდღეული ხოძეი ინგლისის პრემიერ მინისტრის დასაცავად.

**ინგლისის ჯარების ევაკუაცია სევასტოპოლიდან.**

**პარიზი** აგვისტოს 22. „ტანის" გადმოცემით სევასტოპოლში მყოფი ინგლისის ჯარები სამხედრო გემებზე გადაიყვანეს. ამავე დროს გემებზე გადმოიტანეს ინგლისის სამხედრო ქონება: ტანკები, მიტრალიეზები და სხვა. ეს ტრანსპორტი სევასტოპოლიდან სტამბოლისაკენ მიდის.

**კრასინი რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების შესახებ.**

**ლონდონი** აგვისტოს 26. (რადიო) კრასინმა ბრიტანეთის მთავრობას მიმართა განცხადებით, სადაც კატეგორიულად უარყოფს ხმებს თითქოს რუსეთისა და გერმანიის შორის საიდუმლო ხელშეკრულება არსებობდეს.

**ბოლშევიკების პირობები ანტანტთან ზავის შესახებ.**

**ბერლინი.** აგვისტოს 25 (რადიო) საღამოს გაზეთი იუწყება: საბჭოთა მთავრობა თანახმაა მიიღოს თავის თავზე მველი ვალები, იმ პირობით, თუ მას რუსეთის კანონიერ მთავრობათ იცნობენ. ამას გარდა, საბჭოთა მთავრობა თითქოს საერთაშორისო პოლიტიკურ კონფერენციის მოწვევას შემდეგ საკითხებზე მოსალაპარაკებლად: 1. საყოველთაო ზავის დამყარება თანახმად ვილსონის 15 მუხლისა 2. რუსეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა 3. დამარცხებულ სახელმწიფოებისათვის გამარჯვებულ სახელმწიფოებთან თანაბარი უფლების მინიჭება.

**ინგლისის საზღვაო ბლოკადა და ბოლშევიკების წინააღმდეგ.**

**ლონდონი.** აგვისტოს 26. (რადიო) დილის გაზეთების ცნობით საამირალო უბრძანა სამხედრო გემების უფროსს: დააწესონ რუსეთის წინააღმდეგ ახალი ბლოკადა. ბალტიის ზღვაში ამ მიზნით სდგას გარდა ორი ნაღმოსანისა, ინგლისის ორი კრეისერი „კილედანი" და „კასტორი".

**სპეკულიანტებთან ბრძოლა საფრანგეთში.**

**პარიზი.** სექტემბრის 1. სპეკულიაციასთან მებრძოლი კომისია სპეკულიაციას მკაცრი ღონისძიების მიღებით ებრძვის. სასამართლოს 7000 კაცის საქმე გადაეცა. მათ უკანონო საკომერციო საქმეების წარმოება ბრალდებათ. დამნაშავეთ საფრანგეთის საზღვრებიდან გააძევებენ.

**მუშა ხელის კრიზისი საბჭოთა რუსეთში.**

**მოსკოვი.** აგვისტოს 24. გაზეთი „ეკონომიური ცხოვრება" იუწყება მუშათა საკითხი საერთოდ და ნამეტურ მდინარე ვოლგაზე მტვირთავ მუშათა მდგომარეობა დიდად ვამწვავდაო. მუშათა საკითხის სიმწვავის შესამსუბუქებლად სპარსელების მოყვანა სცადეს, მაგრამ ცდა უნაყოფოდ დასრულდა. მუშა ხელის დიდი სიმცირის გამო გემები მეტ ნაწილად დაუტვირთავი რჩება. ამასთანავე შენიშნულია შრომის ნაყოფიერობის დაცემა. იმავე გაზეთის ცნობით გადამტვირთავ მუშას გადააქვს დღეში 27 ფუთი და წითელ არმიელს კი მხოლოდ 10 ფუთი.

**ესტონია და საბჭოთა რუსეთი.**

ესტონიაში მყოფმა რუსეთის ელჩმა რეველსა და რუსეთის შორის მატარებლების პირდაპირი მიმოსვლის კონვენციის პროექტი გამოიმუშავა. განზრახულია კონვენცია ერთი წლით დაიდვას.

თანახმად იზვესტიის ცნობისა სრულიად რუსეთის ჩრეზვიჩაიკამ სამხედრო კომისარიატის ერთ ერთ მთავარ განყოფილებაში. სახელდობ ცენტრალურ მიიღებ კომისიაში, დიდი პანამა აღმოაჩინა. ამ კომისიას ქრთამის აღებით სამხედრო ბეგრის მოხდისაგან 8000 კაცი გაუნთავისუფლებია. საერთოდ კომისიას 50 მილ. მან. ქრთამი აუღია. ამ საქმის გამო დაატუსაღეს 500 კაცი. მათ შორის 44 ჩრეზვიჩაიკამ უკვე დახვრიტა. დახვრიტეს აგრეთვე 22 კაცი. უკანასკნელთ ქრთამის მიცემით სამხედრო ბეგრის მოხდისაგან განთავისუფლება ბრალდებათ.

**საბჭოთა რუსეთში 10 საათის სამუშაო დღე შემოიღეს**

**ცარიცინი.** მუშებისათვის და მოსამსახურეებისათვის 10 საათის სამუშაო დღე შემოიღეს.

**უმუშევრობა გერმანიაში**

**ბერლინი.** 26 აგვისტო. უმუშევართა რიცხვი გერმანიაში ივნისში 31 2000 კაცს აღწევდა.

**„ტანი" რუსეთ—პოლონეთის საკითხის შესახებ**

**პარიზი.** 24 აგვისტ. „ტანი" იხილავს რა რუსეთ პოლონეთის საკითხს სხვათა შორის სწერს: ან რუსის გენერლებმა გადასწყვიტეს მონარქიულ წესწყობილების აღდგენა,-ამ შემთხვევაში ადვილი აიხსნება მათი შეთანხმება აღმოსავლეთ პრუსიის იუნკრებთან, ან რუსები მართლაც იბრძვიან რევოლუციისათვის და მაშინ მოკავშირეებმა გერმანიის მილიტარიზმის მაგივრად ბოლშევიკურ მილიტარიზმს უნდა გაუწიონ ანგარიში. პერსპექტივები არ არის მანუგეშებელი. ამ პერსპექტივებს არ აუმჯობესებს გერმანიის მიერ ნეიტრალიტეტის დაცვა, ვინაიდან ნეიტრალიტეტის დაცვით გერმანია ფაქტიურად აღიარებს საბჭოთა მთავრობას და აგებინებს მას, რომ გერმანია არის ისეთი სახელმწიფო, რომელიც მოსკოვთან მშვიდობიან განწყობილებაში იმყოფება.

## საქართველოში მყოფ რუსის მისიის ცნობები.

ოპერატიული ცნობები.

10 ენკენისთვე.

### პოლონეთის ფრონტზე:

გროდნოს სამხრეთ-დასავლეთით ადგილობრივი ხასიათის ბრძოლა გრძელდება.

ვოლოდავის და ვლადიმირო ვოლინის მიმართულებით ჩვენი ნაწილები აწარმოებენ ბრძოლას მტრის სალიკვიდაციოთ, რომელიც მდინარე ბუგის მარჯვენა ნაპირს გადავიდა.

ლვოვის მიმართულებით ძლიერი ბრძოლა სწარმოებს დაბა ბუსის ახლებათ ჩვენ ხელთ ვიგდეთ 1000 ტყვე და ორი ზარბაზანი.

როგატინის რაიონში ძლიერი ბრძოლაა ცვალებადი შედეგებით.

ყირიმის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა რამოდენიმე სოფელი დაიკავეს ორეხოვის სამხრეთის 35 — 30 ვერსის მანძილზე.

**საფრანგეთის დახმარება პოლონეთს.**

**რეველი** 1-ლი ენკენ. პოლონეთის ჯარის კაცებში ვრცელდება ხმები, თითქოს საფრანგეთმა პოლონეთს დასახმარებლად გამოუგზავნა 40,000 თავისი ჯარის კაცი, რომელთა შორის ფერად-კანიანებიც არიან.

**ფრანგი გენერლები პოლონეთში.**

**რეველი** 1-ლი ენკენ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ დაბერცოგი და ქიუს-ერეი პოზნანიდან ვარშავაში წამოვიდნენ, სადაც გენ. ვეიგანს უნდა შეხვდნენ.

**საფრანგეთ ბელგიის კავშირი.**

**ლიონი** 11 (რადიო) „ტანი" სწერს: ეს კავშირი ჩვენთვის მოულოდნელი არ არის, მაგრამ ჩვენ მოხარულნი ვართ რომ ის მიღწეულია. პარიზში ყოველ დღე მოელიან ბელგიის პასუხს საფრანგეთის წინადადებაზე, რომ კანონ პროექტი ტეხნიკური შეთანხმებისა, რომელიც ორივე სახელმწიფოს სამხედრო წარმომადგენლის მიერ უკვე ხელმოწერილია. ორივე ერი, რომელიც 1914 წელში დაამტკიცეს, რომ სიტყვის შესრულება იციან, ვალდებულნი არიან დაიცვან ერთმანეთი თავდასხმისაგან. უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ მალე უკვე დადებული სამხედრო კავშირი შესრულებული იქნება ეკონომიური შეთანხმებითაც და საფრანგეთმა ყველაფერი უნდა ჰქნას, რომ ეს შეთანხმება მიღწეულ იქნას.

პარიზის და ბრიუსელის მთავრობათ კიდევ ერთი სურვილი აქვთ: მათ სურთ რომ ინგლისიც შეუერთდეს ამ კავშირს. მათ უკვე აცნობეს ამის შესახებ ლონდონში და ეხლა ინგლის დარჩენია, შეუერთდეს მხოლოდ თავის მოძმეს.

საფრანგეთ ბელგიის კავშირით მტკიცდება ბელგიის დამოუკიდებლობა, უქმდება ბელგიის ვალდებულება ნეიტრალიტეტის და სხვის შესახებ და ასევე ისპობა ძველი დაყოფა სახელმწიფოებისა „დიდსა და სხვა. ხელშეკრულებით ბელგია სრულ უფლებიანი სახელმწიფო ხდება.

**კონფერენცია ე—ლე—ბენში**

**ლიონი** 11 9 (რადიო) ჯიოლიტის ელე—ბენში მოელიან შაბათს, მილიერანს კვირას, კონფერენციის შემდეგ მილიერანი ლოზანაში წავა, სადაც შვეიცარიის პრეზიდენტს შეხვდება.

**ენვერის მიმართვა აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზე.**

ამხანაგებო! ჩემი ამხანაგების სახელით მადლობას ვუცხადებ მესამე ინტერნაციონალს და მის პრეზიდიუმს, რომელმაც შეგვაძლებინა ჩვენ, მთელი მსოფლიო იმპერიალიზმისა და კაპიტალის წინააღმდეგ მებრძოლი, შევკრებილიყავით დღეს ბაქოში. ბედნიერად ვრაცხთ თავს, რომ იმპერიალიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ, რომლისათვისაც არა კმარა გაგვძარცვოს და ზიზღელ-ტიტველი გაგვსრისოს ფეხ ქვეშ, სცდილობს იმავე დროს რომ სისხლი ამოგვწოვოს და აღგვავოს დედა-მიწის პირიდან, ჩვენ, მთელი ევროპის ფლიდ პოლიტიკის წინააღმდეგ ვდგევართ აი აქ მართალი და ერთგული მოკავშირენი მესამე ინტერნაციონალთან ერთად! ამხანაგებო, როდესაც ოსმალეთი ჩაება ომში, მთელი ქვეყანა ორ ბანაკათ გაიყო: ერთ მხარეზე იდგა იმპერიალისტური ძველი მეფის რუსეთი და მისი მოკავშირენი, ხოლო მეორე მხარეზე აგრეთვე იმპერიალისტური და კაპიტალისტური გერმანია და მისი მოკავშირენი. ამ ორ ჯგუფში ჩვენ ვიდექით გერმანიის მხარეზე, რომელმაც აღგვითქვა სიცოცხლე მაინც. მაგრამ გერმანიამ ჩვენ გამოგვიყვანა ყაჩაღური მიზნების განსახორციელებლად. ჩვენი მიზანი კი მხოლოდ ის იყო, რომ სიცოცხლე არ გამოგვეწირა ჩვენი ძმებისთვის. ამხანაგებო! ის გრძნობა, რომელმაც წაგვიყვანა ტრიპოლისის გადამწვარ უდაბნოში მყუდროდ მცხოვრებელ ბედუინებთან, რათა მათ ღარიბ კარვებ ქვეშ გაგვეზიარებინა მათი ცხოვრების მძიმე ხვედრი, არასოდეს იმპერიალისტური გრძნობა არ ყოფილა და არც იქნება. ჩვენ ვცდილობდით ტრიპოლი დაგვეხსნა როგორმე და გვითხრეს, რომ 9 წლის სასტიკი ბრძოლის შემდეგ მათ მიახერხეს იმპერიალისტ იტალიელთა გამოერკვა არც თუ აზერბაიჯანის საწინააღმდეგო გვქონია რამე, ჩვენ ვადასტურებთ, რომ აზერბაიჯანი აზერბეიჯანელთა კუთვნილია! ამხანაგებო! მსოფლიო ომის დროს მე მეჭირა ფრიად საპასუხისმგებლო პოსტი და გარწმუნებთ, დიდათა ვწუხვარ, რომ მოხდებოდა გერმანიის იმპერიალისტებთან ერთად მებრძოლა. გერმანელთა იმპერიალიზმი და იმპერიალისტები ისევე მძულან და ვწყევლი მათ, როგორც ინგლისის იმპერიალისტებს და იმპერიალიზმს. ჩემის აზრით, ვინც მუქთახორათა გასამდიდრებლად მუშაობდა, იგი ღირსია მოსპობისა. ესაა ჩვენი თვალსაზრისი იმპერიალიზმის შესახებ. გარწმუნებთ რომ დღევანდელ, რომ ძველი რუსეთი მიზნებით გამსჭვალულიყო ბრძოლის დროსა, ჩვენ, როგორც აი ეხლა მთელი ჩვენი ენერგიით მის მხარეზე ვიქნებოდით. და რომ ჩემი ნათქვამი სიმართლეს არაა მოკლებული გაგახსენებთ. რომ იმ დროს, როდესაც გადმოველით და საბჭოთა რუსეთთან ერთად დავიწყეთ მოქმედება, იუდენიჩი ლაშქარი პეტროგრადის მახლობლათ იდგა, კოლჩაკის ხელში ურალი იყო, ხოლო სამხრეთით მოსკოვს უახლოვდებოდა დენიკინი,—აი რა მდგომარეობაში იყო რუსეთი, როდესაც ჩვენს ამხანაგებს

ამოვუშვებთ გვერდში რომ შავი ზღვის ქარბუქს უკუ არ ვიგდე, რამაც ჩემს ხომალდს მოამსხვრია აფრა და ანძა, რომ კონოსა და რიგის ციხეებს და ჰაეროპლანის ჩამოვარდნას ხელი არ შეეშალა ჩემთვის, რომელზედაც იმ დროს ვიჯექი, მაშინ მე აღარ მომიხდებოდა თქვენთვის ზედმეტი ამბების მოთხრობა, რათა ზოგი რამ გამემარტებინა ჩემი ამხანაგებისთვის. ამხანაგებო! თქვენ იცით რომ ამ იმპერიალისტურ ომში უკვე დავმარცხდით. მაგრამ დაჩაგრულთა თვალსაზრისით ამ ამბავს დამარცხებად არ ვთვლი, იმიტომ რომ ოსმალეთი მის სრუტეების დაკეტვის შემდეგ ერთი ძლიერ ფაქტორთაგანათ გარდაიქმნა, რამაც დაამხო მეფის რუსეთი, რომლის ნაცვლად მოვიდა ყველა დაჩაგრულთა მოკავშირე საბჭოთა რუსეთი. ამნაირად, ოსმალეთმა ხელი შეუწყო მას, რამაც აღმოაჩინა ახალი გზა კაცობრიობის ხსნისა. ამ თვალსაზრისით, დიახაც, რომ ეს გამარჯვებაა! ამხანაგებო; ის არმია, რომელიც ამ ჟამად გმირულად იბრძვის მსოფლიო იმპერიალიზმის წინაღმდეგ და რომელიც თავს ძალღონეს გლეხობისაგან იღებს, როგორც ვსთქვი, უძლეველი დარჩა. მან მხოლოდ დროებით დაუშვა თოფი დაბლა. წინა წლების უსასტიკესი ომის შემდეგ აგერ ორი წელია კვლავ მამაცურად იბრძვის. ეხლანდელი ბრძოლა არ შეიძლება შევადაროთ წინანდელს. რაკი გვხედვენ, მესამე ინტერნაციონალთან ვართ, მთელი ქვეყნის ტანჯული ხალხი მისკენაა და აღმაფრთოვანებს საბოლაო გასამარჯვებლად! მსოფლიო ომის მძაფრი ხანა, რომელიც ტრანსვაალის ომიდან იწყება და რომელიც 1914 წ. 1917 წლამ. გაგრძელდა, ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მაგრამ აი, დღეს ბრძოლა გარდამწყვეტ ხანაში გადავიდა და ჩვენი უეჭვო გამარჯვებითაც გათავდება და ეს გამარჯვება იქნება არა მარტო ტანჯული ხალხის, არამედ იარაღის დაყრა და კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის სრული განადგურება. თლევანდელი კონგრესი ახალ ძალას მისცემს წითელ არმიას, რომელიც თავის სისხლს ანთხევს ტანჯულთათვის, აგრეთვე თურქთა ძალებსაც. ამასთანავე კონგრესი იგი ხელს შეუწყობს სრულს გამარჯვებას, ე. ი. სამართლიანობის გამარჯვებას. ჩვენ ჩვენს რევოლუციურს ძალებს ყოველთვის ხალხიდან ვკრეფდით, გლეხობიდან. ჩვენ რომ ჩვენი ფაბრიკა ქარხნების მუშები გვყოლოდა, მათ პირველ რიგში მოვიხსენებდი. ისინი ჩვენთან იყვნენ. ისინი სულით და ხორცით ჩვენთან ერთად იღწვოდნენ. ჩვენც მათი სიცოცხლით ვცოცხლობთ და დავიხოცებით მათთან ერთად.

ამხანაგებო! ჩვენ ხალხის სურვილს ანგარიშს ვუწევთ და უფლებას ვუტოვებთ თვით-გამორკვევით ისარგებლოს. ჩვენ მტკიცედ ვართ მათთან შეკავშირებულნი, ვისაც ჩვენთან ერთად სურს სიცოცხლე და ვისაც სურს თავისი ბედი თვითონ განაგოს. ჩვენ ომის წინააღმდეგნი ვართ, ე. ი. წინააღმდეგნი ვართ რომ ხალხი ბატონობის გულისთვის ერთანეთს ახჩობდეს და აი, რომ საუკუნო მშვიდობიანობას ვეღირსოთ, ჩვენ მივალთ მესამე ინტერნაციონალთან ერთად.

ჩვენ არ გვინდა, რომ სპეკულიანტებმა უცხოელები იქნებიან თუ ადგილობრივი ისარგებლონ სხვის ნაშრომით, მათ სასტიკად უნდა მოვეპყრათ. ჩვენ გვსურს რომ ჩვენი ქვეყანა საზოგადო შრომით სტკბებოდეს მიწად მოქმედების და მრეწველობის განვითარებით. ასეთია ჩვენი ეკონომიური თვალსაზრისი. ჩვენ გვწამს, რომ შეგნებული ხალხი ეღირსება ბედნიერებას და თავისუფლებას. მე გიცხადებთ, რომ მაროკოსი, ალჟირისა, ტუნისისა, ტრიპოლისა, ეგვიპტისა, არაბეთისა და ინდოეთის რევოლიუციული ორგანიზაციები, ვინც მე აქ გამომგზავნეს, ჩემთან ერთად იქნებიან და სწამთ, რომ ყველა რევოლიუციურ ზომების მიღებით ისინი შესძლებენ ნადირები თავიანთ ბუნაგიდან გამორეკონ და დაასუსტონ. აი ამ მიზნით გიწვდით ხელს! გართმევთ ხელს ყველას, ვინც ჩვენთან ერთხდ იქნებით ბრძოლის დასრულებამდე, რომელიც ხანგრძლივი იქნება, მაგრამ უთუო, გისურვებთ გამარჯვებას! გაუმარჯოს მთელ ხალხს. ძირს მტარვალები, რომელნიც ამ კავშირის წინაშე თრთიან.

## ევროპ. სოც. დელეგაციის მოლოდინში.

**სომხეთა ეროვნ. საბჭოს კომისია.**

ევროპიდან სოც. დელეგაციის ჩამოსვლის გამო, სომხეთის ეროვნულ საბჭომ აირჩია კომისია, რომელშიაც შედიან: ა. მიანსარიანი, ს. აივაზიანი, და კ. ტერ-კაზარიანცი. კომისიას ცენტრალურ კომისიასთან კავშირის დაჭერა და დელეგაციის შეხვედრის მოწყობაში მონაწილეობის მიღება დაევალა.

ამიერ კავკასიის სომხების საქველმოქმედო საზოგადოების საბჭომ დაადგინა: მიენდოს საბჭოს თავმჯდომარეს ზორიანს და წევრს მიანსარიანს დელეგაციის მისალმება.

## ბოლშევიკების დამარცხება სპარსეთში.

ავტორიტეტულ წყაროებიდან იუწყებიან: ბოლშევიკების ცდა, რომ თავისი გავლენა მთელ სპარსეთზე გაევრცელებინათ, უშედეგოდ დასრულდა. მენჯილის მახლობლად სპარსეთის ჯარმა ბოლშევიკთა საექსპედიციო რაზმი 10 ათასი კაცისაგან შემდგარი თითქმის სავსებით გაანადგურა. ადერბაიჯანის მაჰმადიანთა ჯარის ნაწილები სპარსელების მხარეზე გადავიდენ. ბოლშევიკების სპარსეთში დამარცხების მიზეზი თვით ბოლშევიკების პოლიტიკაში უნდა ვეძებოთ. სპარსეთის რაზმების ამ გამარჯვების გამო ქუჩუკ ხანის სახელი მეტად პოპულიარი გახდა. სპარსელები ბოლშევიზმს აღარ ენდობიან. რუსეთისადმი თანაგრძნობა სასოწარკვეთილებათ შეეცვალა. უშედეგოდ დასრულდა; აგრედვე ბოლშევიკების მეორე ცდა მეშედესერსა და ბენდერეგენსისი ნავთსადგურებში დესანტის გადმოსხმისა. შეტევა ხორასანზე მოგერებულ იქმნა. გილიანის პროვინცია ბოლშევიკებისაგან სავსებით გასწმინდეს. სპარსეთის მთავრობამ მოსკოვში საგანგებო ელჩი გაგზავნა ელჩმა რუსეთსა და სპარსეთს შორის დამოკიდებულება სპარსეთის კონსულების დაპატიმრების და საბჭოთა რუსეთში სპარსეთის საკონსულოების დახურვის მიზეზი უნდა გამოირკვიოს. ელჩი ამ მოკლე ხანში მოსკოვს მივა.

## ერ. დემ. პარ. მთავარი კომიტეტის ცხოვრებაში.

**მთავარ კომიტეტის სხდომა.**

**კვირას 12 ენკენისთვეს საღამოს 7 საათისათვის დანიშნულია მთავარი კომიტეტის ბინაზე მთავარი კომიტეტის სხდომა. მოხსენებას გააკეთებს ევროპიდან ახლად დაბრუნებული მთავარი კომიტეტის წევრი ბ-ნი გიორგი გვაზავა.**

# ახალი ამბები

## მთავრობაში.

— **სასჯელისაგან განთავისუფლება.** საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა: ის ჯარის კაცნი, რომელთაც საგანგებო სამხედრო სასამართლოებით მისჯილი ჰქონდათ სხვა და სხვა ვადიანი კატორღა და თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებასა გაიგზავნენ ფრონტზე, პირობით სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქმნენ.

— **შაქრის გატანის აკრძალვა.** თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: 1) დროებით აიკრძალოს რესპუბლიკის ფარგლებიდან შაქრის გატანა. 2) დროებით აიკრძალოს რესპუბლიკის ფარგლებიდან მანუფაქტურის გატანა.

— **მთავრობის სხდომები.** მთავრობამ დაადგინა; აღადგინოს მთავრობის სხდომები შაბათობით.

## ე რ ო ბ ა.

— **სექციებათ განაწილება.** ერობის საბჭოს გამგეობის სხდომაზე საბჭოს წევრების შორის ფუნქციები გაანაწილეს. თავმჯდომარედ აირჩიეს კონიაშვილი და დაავალეს დროებით ფინანსიურ და ადმინისტრატიულ განყოფილების ხელმძღვანელობა, მედიკოსანიტრული და საბჟითლო განყოფილება ჯიგაურს ჩააბარეს, აგრონომიული და სასკოლო ხელაძეს. აგრარული და სტატისტიკური იმხანოვს, სასურსათო და სატეხნიკო ავალიშვილს. ახვლედიანის სამსახურიდან გასვლის გამო სამაზრო მილიციის დროებითი უფროსობა დანელიას დაეკისრა.

— **დანგრეულ შენობების აღდგენა გორში.** გორის სამაზრო ერობის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე დანგრეულ შენობების აღსადგენად მთავრობიდან მიღებულ 20 მილ. მან. გამოყენების საკითხი გახილა. საკითხის განხილვის შემდეგ გამგეობამ დაადგინა: პირველ რიგში აღადგინოს ყაზარმები და მოაწყოს საგანგებო შენობები ერობის დაწესებულებათათვის და მოსამსახურეებისათვის. დაადგინე აგრეთვე: შეიძინონ ერობისათვის ქალაქის შუაგულში საგანგებო შენობა მიიღონ ზომები შკოლების გასახსნელად და სხვა. ერობის გამგეობის სხდომაზე აღიძრა საკითხი სახალხო უნივერსიტეტების დაარსებისა: ბორჯომში, სურამში, ახალქალაქში, გომში, გორში, ცხინვალში, ხაშურში, ქარელში, ქვემოქალაში, მეჯვრის ხევში და რუისში.

## ვაჭრობა-მრეწველობა.

— **შავი ქვის ექსპორტი.** შრომის სამინისტროს წარედგინა მოხსენება ჭიათურის შავი ქვის სამრეწველოს მუშათა მდგომარეობის შესახებ, მოხსენებაში აღნიშნულია, რომ თუმცა შავი ქვის ექსპორტი ძლიერ გაიზარდა, მაგრამ მუშაობა ნელი ტემპით ვითარდება. ეს იმით აიხსნება, რომ ჭიათურასა და ფოთში დიდძალი დამზადებული შავი ქვაა, დაახლოვებით 6 მილ. ფუთამდი. ახლა შავი ქვის დამუშავება არ ხდება მაღაროებისადმი უყურადღებობისაგან შექმნილ მდგომარეობის გამო. იანვრიდან აგვისტოს 25-მდე უცხოეთში შავი ქვის გატანა ასეთი სახით იზრდება: იანვარში გაუტანიათ 375 ფუთი, თებერვალში 284 ათასი ფუთი, მარტში—558 ათასი ფუთი, აპრილში—630 ათასი ფუთი, მაისში—916,750 ფუთი. ივნისში—1,253,500 ფუთი, ივლისში—1,762,750 ფუთი, და აგვისტოს 25—1,194,150 ფუთი. აგვისტოს 16 თვის ჭიათურის შავის ქვის მაღაროებში სულ 894 მუშა მუშაობდა. არსებულ შავი ქვის 26 გამწმედ ქარხნიდან მუშაობდა მხოლოდ 3 და ამ მოკლე ხანში რამოდენიმე ქარხანა კიდევ დაიწყებს მუშაობას. მუშები დახლეულია უბედურ შემთხვევებისა და ნაყილობრივ ავადმყოფობისაგანაც. მიმდინარე წელს სულ 25 უბედური შემთხვევა იყო. მუშები ცხოვრობენ მაღაროებთან მათთვის სპეციალურად აგებულ სახლებში. განსაკუთრებულ თათბირის დადგენილებით ეს სახლები სამ თვეში უნდა შეკეთდეს: მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ჭიათურის მრეწველობა თუმც ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც ძლიერდება. მუშათა რიცხვი თან-დათან იზრდება. მომავალში ჭიათურაში საჭირო იქნება შრომის კომისრის დანიშვნა.

— **ბანკირების თათბირი.** სექტემბრის 8, სახელმწიფო ბანკის გამგის თავმჯდომარეობით საქართველოში არსებულ სააქციონერო ბანკების წარმომადგენელთა თათბირი შესდგა. თათბირს წარუდგინეს განსახილველად განსაკუთრებულ თათბირის მიერ შემუშავებული სავალდებულო დადგენილებანი უცხო ვალიუტის ოპერაციების შესახებ. თათბირმა პროექტი მოიწონა და შეუცვლელად მიიღო.

## მუშათა ცხოვრება.

**მუშათა მაგიდა.** მუშათა მაგიდამ შრომის სამინისტროს აცნობა, რომ მუშა მოსამსახურეებისათვის სურსათ-სანოვაგის მიმწოდებული მუშათა მაგიდები შემდეგ ადგილებში არსებობსო: ქუთაისში, ფოთში, ბათომში და გორში. გარდა ამისა მუშათა მაგიდა იაფ სურსათსანოვაგეს აწვდის უშუამავლოდ შემდეგ მაზრების მუშამოსამსახურეებს: დუშეთისას, ბორჩალოსას, თელავისას, სიღნაღისას, ახალციხისას, ზესტაფონისას, შორაპნისას, რაჭისას, ზუგდისისას, ოზურგეთისას და სხვ. სურსათ სანოვაგე ეძლევათ აგრეთვე სახელმწიფო მამულების და გზა ტკეცილების მუშა მოსამსახურეებს და აგრეთვე მასწავლებლებსაც.

მუშათა მაგიდამ მუშათა მოსამსახურეების საჭიროებისათვის 1000 ფუთი საპნის მისაღებად ზომები მიიღო.

— **მუშათა ნავთსადგურებში.** მამაცაშვილმა, რომელიც ნავთსადგურებში წარმოებულ მუშაობას ხელმძღვანელობს, გზათა მიმოსვლის დეპარტამენტში მოხსენება წარადგინა. მოხსენებაში სხვათა შორის აღნიშნულია საჭიროება მდინარე რიონზე, ქოროხ-ციაზე და ხოფზე ნაოსნობის აღდგენისა. რიონზე ნაოსნობის აღდგენა და მისი დაკავშირება გზატკეცილებზე არსებულ მოძრაობასთან დიდ სამსახურს გაუწევს მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირზე 30 პუნქტში დასახლებულ მცხოვრებლებს. გემების მიმოსვლა შეიძლება გამოიყენონ აგრეთვე სასოფლო სამეურნეო საგნების, აგურის, მემის და სხვათა გადასატანად. შემდეგ მოხსენებაში აღნიშნულია უდიდესი საჭიროება ნაოსნობის მოწყობისა მდიდარე ჭოროხზე, განსაკუთრებით საჭიროა ეს მას შემდეგ, რაც ბათომის ოლქი საქართველოს შემოუერთდა. ნაოსობა შესაძლებელია აგრეთვე ციაზე და ხოფზე. გზათა დეპარტამენტი ყურადღებით მოეპყრო აღძრულ საკითხს და თავის მხრით ამ გეგმის განხორციელების შესახებ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე.

## ბათომი.

**ძველი ქალაქის გამგეობის გაცილება**

ენკენისთვის 7-ს, ბათომის ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებმა გამოსათხოვარი ვახშამი გაუმართეს ყოფილ ქალაქის მოურავის მოადგილეს ო. ე. ჯავახიშვილს და გამგეობის წევრებს. ვახშამზედ მოწვეულნი იყვნენ აგრეთვე ქალაქის საბჭოს პრეზიდიუმი და და გამგეობის ახალი შემადგენლობა. წარმოთქმულ სიტყვებში მოიხსენიეს ბათომის ოსმალების და ინგლისელების ოკუპაციის დროის მძიმე მომენტები და ის ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდნენ ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლები საოკუპაციო მართველობასთან.

საპასუხო სიტყვებში, გამგეობის ყოფილ წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი მუშაობდენ როგორც შეეძლოთ და მოხარულნი არიან რომ ბათომი ბედნიერ დღეების მოწამენი ხდებიან.

**პლ. ფაჩულია ბათომში.**

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ბათომში ჩამოვიდა პლ. ფაჩულია, რომელსაც დავალებული აქვს უსასტიკესი ზომები მიიღოს სპეკულიაციასთან საბრძოლველად...

საბანკირო კონტორების ... შემდეგ, მათი პატრონების უმრავლესობა დატუსაღებულ იქმნენ.

**ახალი ქართული გაზეთი.**

1 ენკენისთვიდან ბათომში გამოდის ახალი ქართული გაზეთი „ბათომის ფურცელი“.

**თამბაქოს ექსპორტი.**

იტალიის გემის „ჩარეს“ გარდა, რომელმაც სოხუმის თამბაქოს დიდი პარტია გაიტანა, ბათომში მიღებული ცნობებით იტალიის ფირმას „ჟოზეფი ვიოლეტოს“ საზღვარგარეთ გასატანათ დაუტკირთავს 20,111 ფუთი თამბაქო.

**ნავთსადგურში.**

სტამბოლში წავიდა „ტრიესტის ლლოიდის“ გემი „ბრუსები“.

გემი „ბორისი“, რომელსაც ფოთის ნავთსადგურიდან მოელოდენ, იგზავნება ყირიმში რუს გენერალ ვრანგელის ჯარის გადმოსასხმელად... გემი საფრანგეთის დროშის ქვეშ მოგზაურობს.

**მოტორიან გემების შესახებ**, რომელიც რესპუბლიკის ნავთსადგურებს შორის მოგზაურობენ სოხუმის გაზეთი „ნაშე სლოვო“ სწერს:

გადასაზიდ საშუალებათა სიმცირე რესპუბლიკის ნავთსადგურებს შორის მეტად საგრძნობი ხდება—ამით სარგებლობენ კერძო გემების და უმეტესად კი მოტორიანი ნავების პატრონები და მგზავრებს, პირდაპირ ტყავს აძრობენ. დიდი ფასის გარდა, ეს ნავები, ხავერდით, რომელზედაც 20 კაცი თუ დაეტევა, ხშირად 40-ზედ მეტი მიყავთ და მგზავრები ყოველთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებიან.

სოხუმის გაზეთის აზრით, ამ საკითხს სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

## მეღვინეობის კრიზისის გამო.

გუშინ ენკენისთვის 10-ს ფინანსთა მინისტრი წარუდგნენ კახელ მევენახეთა კოოპერატიული—საზოგადოება „კახეთი“-ს გამგეობის თავმჯდომარე ირ. დ. ფორაქიშვილი, აგრონომი დ. გედევანიშვილი და მწარმოებელ კავშირის წევრი ლ. დევდარიანი. მათ შემდეგი მოხსენება წარუდგინეს მინისტრს: „ჩვენი მეღვინეობა საშინელ კრიზისს განიცდის, პოლიტიკური პირობების შეცვლის გამო მან დაჰკარგა ის მცირე ბაზარიც-კი, რომელიც ჰქონდა, როდესაც საქართველო შეადგენდა რუსეთის ნაწილს საქართველოში მზადდებოდა სამ მილიონამდი ვედრო ღვინო, რომლის ორი მესამედი იხარჯებოდა ადგილობრივ, გარეთ კი გაჰქონდა ერთი მესამედი, ე. ი. ერთი მილიონი ვედრო. საუბედუროდ ფართე მწარმოებელთა შორის აქამდისინ გამეფებულია ძველი მამა-პაპური წესი ღვინის დაყენებისა ქვიით და ქვევრებში, რის გამოც მზადდება მეტად-

# ლიტერატურა და ხელოვნება

### მწუხარება თბილისით

სახეს შემიცვლის მწუხარება, როგორც ლაფანი—
როცა უცქერი მოგონობით სიონის ზარებს,
მისი გუმბათი თითქოს ელის კვლავ საშიშ შარებს.
ვლოცულობ მარტო ნაზ ცრემლებით სველი, ნაბანი.

ნეტავი გვეცვას ისევ ჩოხა და ქალაბანი,
სკრიპკების ნაცვლად ვატირებდეთ სევდიან თარებს.
რადგან იერი დაგვეკარგა, [illegible] ხარებს.
თამარის დროის მენატრება ქუჩა, ყაფანი.

მაბრაზებს დარდი, ვით წიწილის წართმევა კრუხებს,
რომ ალილოზე აღარ დადის მთვრალი მაყარი.
რომ ველარ ვხედავ ტყის სიმწვანეს და მაღალ მუხებს.

მაბრუებს მტვერით მე თბილისი, ვით კოკაინი.
როცა დაცხრება ყრუ ქუჩებში აყალ-მაყალი—
დავწერავ სონეტს და ჩავივლი, როგორც კაინი.

**რაჟდენ გვეტაძე**

1920 წ. ენკენისთვე 8. შუაღამე.

## მარუთა შუამდინრელს

მარუთა შუამდინარელი საშინლად გაცხარებულა იმისათვის, რომ მას ლიტერატურული ფინაჩი ვუწოდე. მაგრამ ამ გაცხარებით იგი კიდევ უფრო იღუპავს თავს. თურმე იგი სხვისი ვინაობის მიმთვისებელიც ყოფილა. მას მოუნახავს ერთი ძველი მწიგნობარი და მისი სახელით გამოდის ლიტერატურაში. რა ვუწოდოთ ასეთს საქციელს?!

წარმოდგენილი გაქვთ რომელიმე მწერალი, რომელიც სხვისი სახელით გამოდიოდეს ლიტერატურაში! წარმოდგენილი გაქვთ ისეთი მწერალი, რომელმაც მაგალითად თავის თავი გამოაცხადოს ან რონსარად და ან რაბლედ?! უკანასკნელი სიყალბე უნდა იყოს ადამიანის ბუნებაში, რომ ამ სახით აცხადოს მან თავის თავი. სრულიად მოკლებული უნდა იყოს ადამიანი საკუთარ ვინაობას, რომ მიითვისოს სხვისი ვინაობა.

და ასეთი უკაცრავად პასუხია „მწერალი“ იწუნებს ჩემს თარგმანს „სალომესას“. რა გაეგება მას უაილდის სიტყვის ინსტრუმენტაციის, რომლითაც გამართულია „სალომე“! ან რა გაეგება მას ჩემი რიტმიული ქართულის, რომლითაც გავშალე ეს ჯადოსანი ქმნილება!

მარუთა შუამდინარელი ისე გაკადნიერებულა, მეტი რომ არა ვსთქვა, რომ საერთოდ ქართულსაც კი მიწუნებს და ბავშური აღიტიებით საპაექროდაც მიწვევს. ამაზე მეტი უბედურება კიდევ იქნება: **მარუთას შეხვდე საპაექროდ!** მაგრამ ქართული ლიტერატურის ინტერესებისათვის მე მაინც ვიღებ მის გამოწვევას.

მე არ გამოვუდგები მისი უვიცობის მტკიცებას დეტალურად: იგი ამად არა ღირს ხოლო საჭიროა რომელიმე გარკვეულს მაგალითზე მაინც გამოვამზეურო საბოლოვოდ მარუთა შუამდინარელის სრული უვიცობა.

იგი მიწუნებს მაგალითად სიტყვას „გაიარს“: თითო უკანასკნელი არ იყოს სრულიად მართებული და ლიტერატურულად გამართლებული. იგი „ლეილაში“ დასავლეთს საქართველოს პოეტებს ათვისებს პროვინციალ თქმას და მაგალითებს შორის მოჰყავს „გარება“. მაშასადამე ხსენებული სიტყვა მარუთას აზრით ლიტერატურაში არ უნდა იხმარებოდეს.

მართალია ეს?! მე მგონია, მარუთა შუამდინარელისათვისაც სავალდებულო უნდა იყოს მოწმობა ქართულის ისეთი მცოდნესი, როგორიც იყო საბა სულხან ორბელიანი. გადაშალეთ მისი შესანიშნავი ქართული ლექსიკონი და მე-247 გვერდზე თქვენ ნახავთ სიტყვას: „რება“, რომელსაც განმარტავს ასე: „სლვა“ (მე-278 გვერდზე იგი ამბობს, რომ უფრო მართებულია „სლვა“ ვიდრე „სვლა“).

ამ სიტყვისაგან „რება“ წარმოსდგება „გარება“ და საერთოდ თქმა: „გაიარს“, „მოიარს“, „აიარს“; „ჩაიარს“ და სხვა. მართალია: ამას აქვს თავისი სიტყვიერი პარალელი „სვლისაგან“: „გაივლის“, „მოივლის“, „აივლის“, „ჩაივლის“ და სხვა,—მაგრამ მათ შორის მაინც რჩება ნიუანსი მასხვავებელი.

ეს რომ ასეა, ამას თვითონ ხალხური გენიის შემოქმედებაც ადასტურებს. ქართულს ზღაპარში თითქმის ყველგან არის ასეთი ხვეული: „იარა იარა ბევრი იარა თუ ცოტა იარა“. როგორ შესცვლით თქვენ ამას პარალლერული წარმოებით „სვლისაგან“?! ნუ თუ ასეთი ბლაგვი მოჰრით: „ვლო ვლო ბევრი ვლო თუ ცოტა ვლო“?!

მაგრამ შესაძლოა ლიტერატურაში არ იყოს ეს სიტყვა ხმარებული. მაშ წაიკითხეთ, მარუთა შუამდინარელო, ნიკო ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „მერანი“, რომელიც თითქმის ყოველმა ქართველმა ინტელლიგენტმა იცის ზეპირად,—და იქ თვენ ნახავთ ასეთს მიმართვას: „გარდაიარე კლდენი და ღრენი“. რა არის ეს „გარდიარე“, თუ არ იმავე სიტყვისაგან წარმოებული, რომლისაგან იზმის „გაიარს“?! ან თუ გგონიათ, რომ ნიკო ბარათაშვილიც დასავლეთ საქართველოს პოეტია?!

ეს კიდევ არაფერი! ბ. მარუთავ! თქვენ სიძველენი გიყვართ (—იქ მოგინახავთ მწიგნობარი და მისი ვინაობა მიგითვისებიათ). შეიძლება გაგეგონოსთ შოთა რუსთაველი, რომელიც სამართლიანად არის მიჩნეული ქართული სიტყვის გენიალურ შემოქმედათ. წაიკითხეთ მისი პოემა „ვეფხის ტყაოსანი“ და იქ მონახავთ თქვენ მიერ ათვალწუნებულ „რებას“. მონახეთ მე—1484 ტაეპის მეორე სტრიქონი, საცა ნათქვამია: „ლაშქარნი რბოდეს მიდამო, ქნა სწადდათ მათკენ რებისა“. ან 682 ტაეპის მეორე სტრიქონი: „მისთა სპათა მუხლ-მოყრითა თავი მათი ჩემ-კერძ ირეს“. კიდევ: „ჩვენ ხმელნი მოვიარენით“ (ტ. 117); კიდევ: „ახუსით მოვიარენით“ (ტ. 1196); კიდევ: „იგი დღე ერთად იარეს“ (ტ. 925); კიდევ: „ავთანდილ იგი მინდორი ოთხახმით გარდაიარა“ (ტ. 117); და მრავალი სხვა. რუსთაველი ხანდახან ერთსადაიმავე დროს ორივე სიტყვას („სვლას“ და „რებას“) ხმარობს პარალელურად: „რომე წელან წამოევლო, გზა იგივე წაიარა“ (ტ. 1096); ან კიდევ: „ყოვლი პირი ქვეყანისა მოვლო, სრულად მოიარა“ (ტ. 191). რას იტყვით, ბ. მარუთავ? შოთაც პროვინციელი იყო და ხმარობდა უმართებულო სიტყვას?! ვაი, ქართული ლიტერატურია ბრალი!!

მარუთა შუამდინარელი თავგამოდებით იცავს იოსებ გრიშაშვილს. თავის თავად ცხადია, რომ მან მისი ნაწერი უნდა იცოდეს. გადაშალეთ, ბ. მარუთავ, გრიშაშვილის წიგნი, ეს პატენტი ბანალობისა,—და თქვენ იქ შეხვდებით ასეთს სტრიქონს: „განთიადია: ნისლი ჰკრთება ობლათ მოარე“ (გვ. 139). რა არის ეს „მოარე“ თუ არა იმავ სიტყვისაგან წარმოებული, რომლისაგან იზმის „გაიარს“?! შეიძლება დაგავიწყდათ, რომ გრიშაშვილსაც აქვს ნახმარი ეს სიტყვა!? მით უარესი თქვენთვის!

ამრიგათ: ნიკო ბარათაშვილი, საბა სულხან ორბელიანი და შოთა რუსთაველი ჩემს მხარეზე არიან. ამ დროს გამოდის ვიღაც მარუთა და ქართულის [illegible]. ამაზე მეტი გათახსირება შეიძლება ლიტერატურისა?! ვინ მიკიჟინებს არ-ცოდნას? ის ადამიანი, რომელსაც უბრალო ფრაზაც კი ვერ გაუმართავს სწორად: გერონტი ქიქოძის წიგნის შესახებ იგი „ლეილაში“ ასეთი უსწორობით სწერს: „არის წყალწყალა წერილებიც, რომელიც „საქართველოს“ ყოფილ ფელეტონებს ჰგვაგონებს“. ეს არის ქართული ნამდვილი?! ამის დამწერს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ლიტერატურაში.

მარუთა შუამდინარელი ისე საშინლად ჰაძავს იოსებ გრიშაშვილს წერის ცუდლუტურ მანერაში, რომ უსათუოდ უკანასკნელის ორეულად მესახება იგი. შეიძლება მარუთამ გრიშაშვილისაგან ისწავლა ქართული, როგორც მისმა ორეულმა,—იმ გრიშაშვილისაგან, რომელმაც წარყვნა ქართული სიტყვა ვულგარული ყარაჩოღულით და რომელიც თავის კაკაფონიურ ნაწერებში ასეთი მახინჯი ამასხარავებს ქართულს: „თევზებს ჰკითხე, ზღვისა თევზებს, ის ყველაფერს გაგიმჟღავნებს“. „თევზებს“ და—„ის“: ვაი ქართულო სიტყვავ!

რაც შეეხება ჩემს „დაინტერესებას“ რუსეთით, ამაზე უმჯობესი იქნება, ბ. მარუთავ, სრულიად გაჩუმდეთ; რადგან, სულ ერთია, ჩემს „დაინტერესებას“ მაინც ვერ გაიგებთ. და თუ მაინცა და მაინც არ მოეშვებით „დაინტერესებას“ რუსეთით, მაშინ უმჯობესი იქნება იმავ გრიშაშვილს მიმართოთ, რომელსაც არც რუსეთისა და არც რუსულისა გაეგება რა, მაგრამ მას ისე ებლაუჭება, რომ უმისოთ თავისი უბედური ფსევდონიმიც ვერ მოუგონებია: „გრიშა“-შვილი.

**გრიგოლ რობაქიძე**

[illegible]

შესაძლებელი იყო ბაზარი მოგვენახა ევროპიულ ქვეყნებში, მაგრამ ჩვენებური წესით დაყენებულ ღვინოს ევროპის ბაზარზედ სრულებით გასავალი არა აქვს. ჩვენ ამაში დავრწმუნდით ნიმუშების გაგზავნის შემდეგ ჩვენი მისიების საშუალებით ლონდონში, იტალიაში და გერმანიაში, საიდანაც მოვიდა პასუხი, რომ ზოგიერთ სახელმწიფოებში შეიძლება გასაღებულ იქმნეს ჩვენი ღვინო მხოლოდ როდესაც იგი დაყენებული იქმნება ევროპიული წესით.

ჩვენ მეღვინეების ეხლანდელ მდგომარეობა, რომ სახელმწიფოებრივ მეურნეობის თვალსაზრისით შევხედოთ, საზარალო დარგად უნდა ჩაითვალოს, იმ დროს, როდესაც სხვა ქვეყნებში ასეთი ინტენსიური წარმოება, როგორც მეღვინეობაა ხალხის კეთილდღეობის მძლავრ წყაროს შეადგენს. მოგეხსენებათ, რომ მეღვინეობას ესაჭიროება მთელი რიგი წამლეულობა-შაბიამანი, გოგირდი პარიზის სიმწვანე და იარაღები რომლებსაც ჩვენი რესპუბლიკა საზღვარ-გარედ იძენს და ყველა ამის ხარჯი, ეხლანდელ ფასებით სამას მილიონამდე, იძულებული ვართ დავფაროთ მეურნეობის სხვა დარგების შემოსავლიდან და იმის მაგივრად, რომ მეღვინეობამ უფრო გააძლიეროს ჩვენი სყიდვა-შეძენის უნარი ევროპის ბაზარზე, იგი საზარალოდ ხდება და სცემს ჩვენს ვალიუტას, რადგანაც მთელი შემოსავალი ღვინისა ადგილობრივე იხარჯება.

რომ პირობები კიდევაც შეიცვალოს და რუსეთი გადაიქცეს ჩვენი მეღვინეობის ბაზრათ, მაშინაც ჩვენი მეღვინეობა ცუდპირობებში იქმნება ჩამდგარი, რადგან ევროპის ღვინო და ჩვენი ღვინო ერთ პირობებში იქმნებიან ჩაყენებულნი და ჩვენი მეღვინეობა მფარველობასმოკლებული, კონკურენციას ვერ გაუწევს ევროპის ღვინოს.

ამ გარემოებას არ შეიძლებოდა არ მიექცეოდა თვით მეღვინეთა ყურადღება, რომლებიც არსებულ პირობების ძალით მეტის მეტად უკიდურეს მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი, უეჭველია, მათ საფიქრებლათ შეიქმნა, გამონახონ საშუალებანი, რით დააღწიონ კრიზისს თავი, როგორ შეინარჩუნონ ეს ძვირფასი დარგი მეურნეობისა და როგორ გააუმჯობესოს იგი მომავალში.

კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „კახეთი"ს წევრთა საგანგებო ყრილობამ გაითვალისწინა, რა ყველა ეს დაადგინა: ამ შემოდგომაზედვე დაიწყოს ნაწილობრივ მაინც ევროპიულ წესით ღვინოს დამზადება და ბოლოს სრულიად გადავიდეს ამ წესით დამზადებაზედ. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ამ საშუალებით შესაძლო გახდება შევინარჩუნოთ ჩვენი მევენახეობა, გავაუმჯობესოთ ღვინის წარმოება და მეღვინეობას მივცეთ იმისთანა მიმართულება, რომ იგი არამც-თუ არ წარმოადგენდეს სახელმწიფო მეურნეობისათვის საზარალო დარგს, არამედ შეადგენდეს ერთ უმთავრეს შემოსავლის წყაროს. საზოგადოებას განზრახვა აქვს, ამ რიგად დამზადებული სავალიუტო საქონელი გადასცეს მთავრობის სამინისტროს განკარგულებაში, რომელიც განაგებს საზღვარგარეთ მეურნეობისათვის საჭირო საქონლის შეძენას,

საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ამგვარი რეფორმა დიდიხანია უნდა მომხდარიყო ჩვენს მეღვინეობაში, მას, მეღვინეობას, დიდიხანია, უნდა მოეპოვებინა შესაფერისი ადგილი უცხო ქვეყნების ბაზარზე, და დასასრულ ამ გვარად წარმოების გარდაქმნას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკაში და მთავრობის ყურადღებასაც აიმსახურებს.

განზრახულ მიზნის განსახორციელებლად კოოპერატიულ საზოგადოება ,,კახეთი"-ს უკვე აქვს მიღებული ზომები: შარშან შეიძინა თბილისში სარდაფი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 30.000,000 მანეთს და რომელშიაც თავსდება ასი ათასი ვედრო ღვინო; სოფელ კარდანახში შეიძინა დესეტინა ნახევარი მიწა, სადაც განზრახვა აქვს გააკეთოს მომავალში სარდაფი და ჯერ-ჯერობით-კი აპირებს ააშენოს ღვინის საყენი (винодельня) და მასალების და ინვენტარის საწყობები, გაჰყავს რკინის გზის ლიანდაგის შტო; თელავში აქვს შეძენილი საწყობები ღვინისა და მასალისა და ამგვარივე საწყობები და საწურავები სურს გააკეთოს მომავალში კახეთის სხვა და სხვა რაიონებშიც. საზოგადოება ,,კახეთი" სწამს, რომ ყველა ამისა განხორციელება შეიძლება მხოლოდ მეღვინე მწარმოებელთა შეკავშირებით, როგორც ეს მოხდა ევროპის სოფლის-მეურნეობის განვითარებაში, ამისათვის აქვს მიღებული ზომები სპეციალისტთა ინსტრუქტორთა დახმარებით გაამრავლოს წევრთა რიცხვი, რომლებიც შესძლებენ დაამზადონ საკუთესო მასალა, ევროპიულ ღვინის დასაყენებლად. ყველა ამ განზრახვათა განსახორციელებლად საჭიროა დიდი თანხა, რომლის გაღებაც საზოგადოებას არ იეძლიან თავისი მიმდინარე ოპერაციებიდან

რადგანაც საზოგადოების მიერ განზრახულ გეგმის განხორციელებას აქვს უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, საზოგადოება ,,კახეთი" სთხოვს ფინანსთა მინისტრს აღძრას მთავრობის წინაშე შუამდგომლობა მოგვეცეს ასოცი მილიონი მანეთი ხანგრძლივი სამპროცენტიანი სესხი ხუთი წლის ვადით.

ამასთანავე ვადგენთ: 1) სარდაფის, საწურავის და რკინის გზის ლიანდაგის შტოს გაკეთების პროექტს და 2) ღვინის ევროპიულ წესზედ დაყენების ხარჯთ-აღრიცხვას.

სესხის უზრუნველსაყოფად საზოგადოება გარდასცემს მთავრობის განკარგულებაში მთელ დამზადებულ ევროპიულ წესით ღვინოს და დააგირავებს იმ ოცი ათას ვედრო (20.000) ღვინის ნაშთს, რომელიც აქვს მას ა. წ. 1 ნოემბრისათვის.

ბ. მინისტრმა გულდასმით მოუსმინა დელეგაციას და აღუთქვა დახმარება მთავრობის წინაშე.

## კოტე ბუაჩიძის წერილის გამო.

(დასასრული)

კ. ბუაჩიძეს და კამპანიას, არ ვიცი, განგებ თუ დაუდევრობით, ჩვეულებად ჰქონდათ 100,000 მანეთების დახარჯვა და მერე ამის შესახებ განცხადება, რომ თანხა გასავალში ყოფილიყო ამოწერილი; გასული წლის 16 ივლისს კ. ბუაჩიძის განცხადების თანახმად იყო გასავალში გაწერილი 40.000 მან. როგორც ქ. ზესტაფონის მართველობაზე მიცემული, გასული წლის 14 ივლისისთვის ქ. ზესტაფონის მართველობისაგან ურთიერთ შორის დამოკიდებულების აღსადგენათ გამოგზავნილი იყო ამონაწერი 1919 წლის 1 სექტემბრის თარიღით, სადაც ნათქვამია, რომ ქალაქს მართებს კავშირის ამა წლის 14 ივლისისათვის 50424 მან. 63 კაპ. და, რასაკვირველია, ამ თანხაში შედის ის 40.000 მან. რომელიც 11 ივლისს მიიღო ქალაქის მართველობამ და წიგნებში გაატარა. ამ ნაირად, ცხადია კავშირის სალაროში 40.000 მან. მეტი უნდა აღმოჩენილიყო, საკითხი გამოირკვეოდა და ქალაქს 40.000 მან. მეორედ აღარავინ მოთხოვდა; (იმ 40000 მან. რომლის მართებაზ, ამა წლის 24 ივლისის თარიღით მოწერილ მიმართვაში, სრულიად საფუძვლიანად, უარს ამბობს ქალაქის მმართველობა) 40.000 მან. მეტი სალაროში არ ამოჩნდა და როდესაც მე ამაზედ რამდენჯერმე დავსვი საკითხი გამგეობის და სარევიზიო კომისიის კრებაზე კ. ბუაჩიძემ, როგორც სარევიზიო კომისიის სხდომის მომწვევმა სულ აღარ შემატყობინა კრების დანიშვნა, მიუხედავად იმისა, რომ მე სარევიზიო კომისიის წევრი ვარ და იმ დროს ზესტაფონში ვიყავი და ამნაირად განიძრახა 40000 მან. საკითხის მოხსნა.

დასაწყის ბალანსში შეტანილია 74000 მან. როგორც კავშირისაგან" ცეკავშირში" შეტანილი, ნამდვილად კი არის 66870—26, რადგან 74000 მანეთში შედის ჩხარის და საქარის კოოპერატივების ანგარიშიდან გადმორიცხული 4029—74 და შეადგენს კავშირის ვალს ამავე ჯამში შედის 3100 მან. რომელიც ერთხელ გატარებულია გასავალში როგორც სხ და სხ. პირზე გაცემული და შედის იმ თანხაში რომელიც უდრის 17. 471—96

ყველა ეს კარგად უნდა სცოდნოდა კ. ბუაჩიძეს, როგორც ყოფილ წვრილი კრედიტის ინსპექტორს, და თუ არ იცოდა მის შემდეგ მაინც უნდა გაეგო როდესაც მე არა ერთხელ ვაცხადე და აღარ უნდა გაეხადა ყდაო სადაოდ და გადაეხადა, მაშინ კავშირის აღარ დაეკარგებოდა 97129—42 კაპ. მაინც. როგორც კ. ბუჩაიძე ბრძანებს თავის წერილში მხოლოდ იმის საბუთები არ ჰქონიათ, თუ ვინ წაიღო 98 ფ. შაქარი, სამაგიეროდ სალაროში შაქრის ღირებულება ფულად ყოფილა. საქმე სწორედ საბუთი იყო—თუ ვინ წაიღო შაქარი, თორემ იმ დროს, როდესაც შაქარი ბაზარზე 2000 მ. ფასობს ფუთი, 2000 მანეთს ყოველი სპეკულიანტი სიამოვნებით გადაიხდის, რადგან 176400 მანეთს მოგებას დაჯერდება.

თუ სურვილი აქვს კ. ბუჩაიძეს ლაპარაკი, კარგად მოიგონებს, რომ მე ზესტაფონში ჩასვლის თანავე მიუთითე გამგეობას სხვა და სხვას. დაწესებულების საქონლის ერთი მეორისაგან დაშორების საჭიროებას, რაც სრულიად მოსახერხებელი იყო, თუ ამას ერობის, ქალაქის, კავშირის და საკრედიტო ამხანაგობის ბატონ პატრონი (კანალამ ერთი და იგივე პირი) მოინდომებდენ და ცოტა ხარჯს გასწევდენ. საკრედიტო ამხანაგობა დარჩებოდა თავის საწყობში, როგორც დღეს არის, იმ ორი დუქნიდან, რომელიც იმ დროს კავშირის და ერობის საქონლით იყო დაკავებული, ერთში შეიძლებოდა ერობის საქონლის დატოვება და მეორეში კავშირის. თუ არ იკმარებდა შეეძლოთ არდიშვილის საწყობის დაქირავება, როგორც მერე დაიქირავეს, მაგრამ ასეთი მუშაობისთვის კ. ბუჩაიძეს და კომპანიას ,,დრო არ ჰქონდა". ბალანსის სხვა და სხვა ობაზე ლაპარაკი მაშინ შეიძლებოდა, რომ პირველი ბალანსის შედგენის დროს სალაროში 70.000 მ. მეტი ამოჩენილიყო; მაშინ ბალანსიც არ იქნებოდა. როდესაც ბალანსი შემდგარი იყო და გამგეობა გაჩუმებული, ვითომ ყოველისფერი რიგზეაო და მეც კი, ამ დროს უკვე გამგეობის წევრს; არაფერს მეუბნებოდა, ალბად ჰოლომდის არასფერს იტყოდა, რომ სარევიზიო კომისიას არ მოეთხოვა ეს 70.000 მან.

მკითხველი როდესაც ყველა ამას წაიკითხავს, იკითხავს: როდესაც ეს ყველაფერი იცოდა პ. საყვარელიძემ გაჩუმებული რად იყო? მე გაჩუმებული არ ვყოფილვარ: დაჟინებით მოვითხოვდი, რომ 50.000 მან. კავშირს მიეღო ერობისაგან, მაგრამ ვერაფერს გავხდი, რადგან კ. ბუჩაიძეს ამოუჩნდა ცეკავშირის ინსტრუქტორთა შორის ალ. ერქომაიშვილი, რომელმაც დაიჟინა: ,,მართალია რომ საბუთების მიხედვით 50.000 მან, კავშირს ეკუთვნის, მაგრამ მე ვიცი რომ კ. ბუაჩიძე და კამპანია 50.000 მ. მითვისებას არ იკადრებს და რადგან ისინი აცხადებენ რომ ფული შეცდომით არის შეტანილი ერობაში კავშირის სახელით კავშირს ეკუთვნისო". ა. ერქომაიშვილს კომისიის 2 წევრი შ. ი. ღვინჯილია და ი. მიქაძე არ დაეთანხმა, მაგრამ „მოხერხებულმა" კ. ბუაჩიძემ და კომპანიამ იმდენი ათრია ეს საკითხი, რომ საერთო კრებაზე გაათრია, იქ მოიყვანა სხ. და სხ. „ორატორები" ტაშის დამკვრელი და ფულიც ვისაც უნდოდა იმას მისცა. ვცდილობდი, არ დაკარგოდა კავშირს იმ რკინის ფასი, რომელიც წაიღეს კ. ბუაჩიძემ და კომპანიამ, როგორც ,,ზედმეტი" საქონელი, შემდეგ როდესაც დამტკიცდა რომ რკინა კავშირის იყო ფასს დაპირდენ კავშირს და როგორც იქნა 6 თვის შემდეგ გადაიხადეს. ვცდილობდი არ დაკარგოდა კავშირს იმ 2 ბოჭკა შაბიამნის ფასი რომელიც დღემდის არის გადაუხდელი. ძველი გამგეობა წ მა ისარგებლეს იმით რომ, მოლითიო კოოპერატივმა გამოიწერა შაბიამანი, გასავალში გატარდა, მაგრამ საყობიდან წაღებული არ იყო. დაითვალეს ბოჭკები (ჯერ გადმობარება გათავებული არ იყო) და რადგან 2 ბოჭკა ,,მეტი" აღმოჩნდა, გამოართვეს გამგეობის წევრს ვლ. არეშიძეს და საწყობის გამგეს დ. გუნცაძეს და წაიღეს. ვთხოვდი ყოფილ გამგეობის წევრებს იმ შაქრის ნაშთს ან ფასს, რომელიც მათ ხელში დარჩა, როგორც საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის წევრების ხელში, (ისინი ყიდდენ) და დღემდისაც არ მიულია სრულად არც ფული და არც შაქარი. ვცავდი ახალ გამგეობის წევრებთან ერთად კავშირს ა. ერქომაიშვილს დარბევისაგან. ერქომაიშვილი იყო, ვიდრე მე ბუხჰალტერად ვიყავი, საჭირო შტატის აყვანის წინააღმდეგი კ. ბუაჩესთან ერთად, როდესაც მე გამგეობის წევრად ამირჩიეს მის შემდეგ არ დაექირავებია ბუხჰალტერი ბ. ჭიქაძე, რომელიც თბილისიდან ჩამოვიდა და მუშაობას უნდა შესდგომოდა. ხელი შეუწყო 50,000 მ. საკითხის ისე დაყენებს, რომ კავშირს ეს 50,000 მ. დაეკარგა და სხ. თუ ყოველივე ამას დაუმატებთ იმ დამრბევ გარეგნულ ფორმას, რომლის შესახებაც საბჭოს, გამგეობის და სარევიზიო კომისიის სხდომამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

,,მოისმინა რა კრებამ კავშირის გამგეობის მოხსენება ცენტრალ კავშირის ინსტრუქტორ ერქომაიშვილისაგან კავშირის რევიზიის წარმოების დროს გამგეობის შეურაცხყოფის შესახებ, (რასაც დაესწრო საბჭოს თავმჯდომარე და სარევიზიო კომისიის წევრი, გამოსთქვამს თავის მწუხარებას მთავარ ინსტრუქტორის ასეთ საქციელის ჩადენის შესახებ, რაც არ შეეფერება მას, როგორც ინსტრუქტორს, უცხადებს თავის გულის წყრომას და ადგენს: ეთხოვოს ცენტრალურ კავშირის გამგეობას, რომ შემდეგში იგი (ერქომაიშვილს) ნუ გამოგზავნის 1920 წ. ძალიან კარგად სცოდნია კ. ბუაჩიძეს, რომ თუ დაწესებულებაში მსახურობ, ბევრი სარგებლობა არ მოგაქვს და ჯამაგირს ღებულობ ეს ბოროტმოქმედებაა, მაგრამ როდესაც კ. ბუაჩიძე ერობაში მსახურებდა კავშირისთვის არ ეცალა, როგორც თითონ ბრძანებს, და ჯამაგირს ორივეგან ღებულობდა ესეც ხომ ბოროტმოქმედება ყოფილა. რაც შეეხება ჩემგან კოოპერატივ ,,ერთობაში" 5 თვის ჯამაგირის აღებას, იმ დროს როდესაც მე მუდმივად ვერ ვმუშაობდი, ეს დანაშაულად არ მიმაჩნია, რადგან პირველი ექვსი თვე კილამ სულ კოოპერატივში ვიყავი და ნოქრის მაგიერადაც კი მხვდებოდა ხოლმე მუშაობა.

ყოველისფერი ეს კარგად იცის კ. ბუაჩიძემ, მაგრამ ისიც კარგად იცის, რომ ჩემი საქმეში ჩათრევით და ლანძღვით დროებით მაინც შეიყვანს მკითხველს შეცდომაში, ამასობაში ერობის სესიას მოიწვევენ, სესია გამგეობას აირჩევს და, რასაკვირველია, კ. ბუაჩიძეს გამგეობის გარედ არ დატოვებს, როგორც ,,მოხერხებულ" კაცს (ეს სახელი კ. ბუაჩიძემ მტკიცედ დაიმსახურა). რადგან იმის მეტი მოხერხებულად ვერავინ გაუძღვება იმ მილიონებს, რომელ მილიონებსაც მთავრობა დაპირდა ერობას სავაჭრო-სამრეწველო მიზნებისთვის.

ბოლოს მინდა შევეკითხო ბ.ბ. ბუაჩიძეს და მის კოლეგა ერქომაიშვილს: როგორ უნდა გაეტარებინა ბუხჰალტერს ის სამი თვის ჯამაგირი, რომელიც დასაწყის ბალანსში არ იყო ვალად შეტანილი და სწავლის დროს კი წაიღო ბ. ბუაჩიძემ, ან ის საქონელი, რომელიც კ. ბუაჩიძემ გაატანა ერქომაიშვილს გასული წლის მარიამობისთვეში რევიზიის დროს და რომლის შესახებაც კავშირმა შეიტყო ხუთი თვის შემდეგ კავშირის მომართვიდან 1919 წ. ოქტომბრის თარიღით № 3603. ან რას ფიქრობდი ბ. ერქომაიშვილი, რომელსაც საქონელი წაეღო და ხელი არსად მოუწერია მიღებაში და არც ფული გადაეხდია? ალბად ,,არ იცოდა" რომ როდესაც კავშირიდან საქონელი გადის; ეს იწერება სათანადო წიგნში, რომელშიდაც წამღები ხელს აწერს.

თუ ყოველისფერი ბუხჰალტერის ბრალი იყო, როდესაც მე შევეკითხეთ საბჭოს თავმჯდომარის ბ. ღვინჯილიას და სარევიზიო კომისიის წევრის ბ. ფანჩულიძის თანდასწრებით ინვენტარულ ბალანსის შედგენის დროს გასული წლის 14 ივლისს, მე ხომ არ მასახელებთ ანგარიშების არევის მიზეზათქო, რატომ მაშინ არ აღიარეთ?

როდესაც ი. მიქაშავიძე შეგეკითხათ გასული წლის 7 სექტემბრის საერთო კრებაზედ ბუხჰალტერი თებერვლიდან გყოლიათ, ანგარიშები არა გაქვსთ და თუ ეს ბუხჰალტრის ბრალია რა ზომები მიიღო გამგეობამ რომ ბუხჰალტერს ემუშავაო" რად სდუმდით? რატომ არ უთხარით კრებას წერილში გამომჟღავებული ,,სიმართლე".

...რე რომ ამ მიმდინარე წლის ანგარიშების მოწესრიგება მსურდა და რომ ჩემგან ყოველივე ზომები იყო მიღებული. ამას ამტკიცებს სხვათაშორის, ისიც რომ მე გაუცხადე გამგეობის წევრებს 13 ნოემბრის სხდომაზე, რადგან ბუხჰალტერი ვერ ვიშოვეთ, მოვწვიოთ გამგეობის წევრის მოადგილე, მე გამგეობიდან გავალ და შევძლებ დავალებული სამუშევრის შესრულებასთქო ამ სხდომაზე იყო გადაწყვეტილი ამ საკითხის შესახებ 25 ნოემბრისათვის საბჭოს სხდომის მოწვევა, რომელიც შესდგა და რომელზედაც მე ივევ დაჟინებით მოვითხოვდი გამგეობის წევრობიდან განთავისუფლებას. საბჭომ დაადგინა ერთ ერთი მოადგილის მოწვევა, მაგრამ რადგან არც ერთმა მოადგილემ არ მოისურვა იმ დაწესებულების გამგეობის წევრობა, რომლის გარშემოც ასეთი ტალახი ადგა კ. ბუაჩიძის და კომპანიის წყალობით საქმე უცვლელად დარჩა და მე დამეკისრა გამგეობის წევრის მოვალეობასთან ერთად საბუხჰალტრო სამუშავრის შესრულება, და რაც გავაკეთე, როგორც ბუხჰალტერმა, ამისთვის მხოლოდ მადლობის ღირსი ვარ მაგრამ ყოველივე ის რაც მე გამოვამზევე კ. ბუაჩიძის და კომპანიის მოღვაწეობის შესახებ (რომელი მოღვაწეობის შესახებაც ბევრს რამეს გვეტყვის მალე ქუთაისის საოლქო სასამართლოს პროკურორი) ვერ დააყენებს კომპანიას ისეთ გუნებაზე, რომ მე მადლობა მიცხადონ. პროკურორის განაჩენს ცალკე წერილში გავაცნობ მკითხველს.

პლატონ საყვარელიძე

## ჩვენებური სამართალი და თვითნებობა.

პლეხანოვის პროსპექტზე სპარსეთის მოქალაქე მ. ლიქ-დოდაევს აქვს საკუთარი სახლი, რომელშიაც სცხოვრობს თავიანთვის ნათესავებით. ეს სახლი, როგორც ეტყობა, მოსწონებია რკინისგზელთა პროფ სიულ კავშირს, რომელსაც აუძრავს მისი ჩამორთმევის საკითხი ამ კავშირს აქვს საკუთარი ბინა ელისაბედის ქუჩაზე, მაგრამ უკეთესი ბინის მუქთად შოვნის შესაძლებლობამ დადაევის სახლზე იერიში მიატანინა მთავრობა კეთილ განწყობილებით შეხვდა ამ სურვილს და დაადგინა ხსენებული სახლის ჩამორთმევა. სპარსეთის ელჩი გამოექომაგა თავის მოქალაქეს და შუამდგომლობა აღძრა ჩვენი მთავრობის წინაშე დადაევის სახლისათვის რეკვიზიცია მოეხსნა ერთხელ თავის შუამდგომლობაზე უარი მიიღო, მაგრამ მან განმეორებით ივევ შუამდგომლობა აღძრა. ჯერ ამაზედ პასუხი მიღებული არ აქვს და ხალხს ფაქტიურადაც მისი კანონიერი პატრონი ფლობს. ამ რამოდენიმე დღის წინ დ, მილიციონერები ძალით შევიდნენ სასადილო ოთახში და ჩასახლდნენ, სახლს დარაჯები შემოეხვივნენ და მას დღესაც აი განშეორებიან. მილიციონერების საქციელი ყოვლად აუტანელი ხდება. უკმეხი სიტყვა პასუხი და ძალმომრეობა. არავის ამ სახლში მცხოვრებთაგანს არ უშვებენ ბაღში და ნებას არ აძლევენ ისარგებლონ საკუთარის ხილითა და ბოსტნეულით. ამ ნიადაგზე სცემეს კიდევაც დადაევს პატარა დისწულს. თვითონ დადაევი სწევს ავადმყოფად და მილიციონერების საქციელი მდგომარეობას კი დევ უფრო უმძიმებს. პირადათ დადაევი ინიციატივის კაცია, აქვს დამოკიდებულება და მონაწილეობა ინგლისის ერთ დიდ საკოლონიერო ბანკთან; უყვარს ჩვენი ქვეყანა და აზრათ ჰქონდა ინგლისურ კაპიტალთან შეამხანაგებით შესდგომოდა ჩვენში იაფი ბინების გაშენე - მუშებისთვის და აგრეთვე სხვა და სხვა სამრეწველო საქმეს...

სამწუხაროა რომ უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომი ასეთი ძალმომრეობისა და თვითნებობის საგნად ხდება ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

მეზობელი.

# ჩვენი კორესპონდენციები

## პატარა ლიახვის ხეობა.

პატარა ლიახვის ხეობა თავის მოსავლით ყოველთვის მაინც და მაინც არ აწყენინებდა ხოლმე ხალხს მოუსავლობით, თითქმის ყოველთვის მოდიოდა იმდენი რომ ხალხს ძალიან არ გასჭირებოდა და შიმშილობა არ ჩამოვარდნილიყო. პური, სიმინდი, აი უმთავრესი ნაჭირნახულევი ამ ხეობელთა და მეორე დიდი შემოსავლის შემომტანი კი ეს მეხილეობა და ხილია. წელსაც, მართალია, პირველხანებში მეტად კარგი პირი უჩანდა ყანებს და დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ კი მოიმკო ყანები, გაილევა და ის იმედები, რომელსაც პურის მისავალზე ამყარებდნენ, გაცრუებული იქმნა. პურის გამოსავალი საშუალოზე ნაკლები აღმოჩნდა. მიზეზი ქვენა ქარის უდროო დროს ამოვარდნა იყო, რომელმაც თავ თავი აოდა და მარცვალს დასრულება არ დააცალა. სიმინდები, სარწყავი წყლის უხვობის გამო იმ საშინელ გვალვის, რომელიც წრეულს იყო გადურჩა და ოდნავ შეუმსუბუქებს მცხოვრებს გაჭირვებას.

ხილის მოსავალი, აქაც საშუალოზე ნაკლებია, გაზაფხულის სიცივეებმა საყვავილე კოკორი ადრე მოსტუსა და ხილის მოსავალთ თითქმის გაანახევრა, ამას ზედ დაერთო ის მრავალი ხეხილის ავადმყოფობა რომელიც ამ ხეობაში მოდებულია და უფრო დამწვავდება. უნდა აღინიშნოს რომ ევროპიულ ჯიშების გადაშენებასთან აუარებელი ავადმყოფობა გადმოჰყვა, რომელიც მთელ ხეობაში თითქმის უყურადღებოდაა დატოვებული და ყურადღებას არავინ აქცევს, არავინ სწამლობს და თუ ასე გაგრძელდა შეიძლება სულ მოკლე ხანში მთელი მეხილეობა მოისპოს და განადგურდეს. მიუხედავათ ამისა აქაური ხალხი მაინც გულს არ იტეხს და იმედიანათ შესცქერის მომავალს, ეს არის მხოლოდ რომ ზოგი ერთი მოხელეებისაგან შეწუხებულნი არიან რომელნიც მთავრობის სახელით მოქმედებენ და ამით თვით მთავრობის სახელსა სცემენ ხალხის თვალში. შეწუხებულ და შევიწროებულნი არიან იმითაც, რომ მაზრის საზღვარს იქით პურის გატანის ნებას არავის აძლევენ, არც შინაურ საჭიროებისათვის და არც გასასყიდათ. და ეხლა კი ისეთი დროა, როდესაც ჩვენი გლეხკაცი ხელს ინაცვლებს, პურს გავყიდი და საზამთროდ შევიძენ საჭირო საქონელს, ფართალსო, მაგრამ ამის უფლება და საშუალება სრულიად მოსპობილი აქვს. მართალია გორის ბაზარი მისთვის თავისუფალია, მაგრამ რადგან მას ყოველ მხრიდან ხალხი აწყდება გასაყიდი პურით, ფასები ისე დაეცნენ მასზე, რომ იგი ამჯობინებს უკან დააბრუნდეს და უკანვე წაიღოს თავის ნაჭირნახულევი ვიდრე ხელის ფასად გადაჰყარო, თუ რასაკვირველია აქაც არ წაედავნენ და უეჭველად გორში არ დაატოვებინეს. ამით მეტად საგონებელში ჩავარდნენ აგრეთვე ისინიც ვისაც თბილისში ოჯახი აქვს და შვილებს სასწავლებელში ზრდის. თუ მათაც ასე გაუძნელეს საქმე ეჭვი არ არის მრავალი მოწაფის ოჯახი აღარ გაემგზავრება თბილისისაკენ. ყველივე ეს რასაკვირველია ჰქმნის ერთგვარ უკმაყოფილებას და საჭიროა, რომ ეს საკითხი ასე თუ ისე საჩქაროდ გამორკვეულ იყოს მით უმეტეს ხალხში უკვე მრავალი ჭორი დადის: ,,იმიტომ არ გვატანინებენ თბილისში, რომ მერე უნდა დაგვიარონ და ყველას უფასოთ ჩამოგვართვანო".

რასაკვირველია ასეთ ხმებს ადგილი ექნება, როდესაც ეს საქმე ხშირად ისეთ ხალხს აბარია რომელნიც სათანადო სიმაღლეზე არ სდგანან თავის მომზადებით.

იმხრელი.

## სოფ. მუხრანი.

მუხრანი, დუშეთის სათემში, ერთ-ერთი დიდ სოფელთაგანია. ამ სოფელზე ბევრი რამ დაიწერილა გაზეთის ფურცლებზე და კვლავაც ბევრი დაიწერება აქ თითქმის ყველა დაწესებულებაა დაარსებული: სკოლა (მალე ოთხი კლასიანი იქნება), ბიბლიოთეკა, ფოსტა-ტელეგრაფი, ერობა, კოოპერატივი და სხვა. მხოლოდ მუხრანს არ აქვს თეატრი, რისთვისაც ადგილობრივი ინტილიგენცია და უფრო ერობის გამგეობა დიდი საყვედურის ღირსნი არიან...

ენკენისთვეს 5 თემის შენობაში შესდგა ხმოსანთა კრება. კრებას დაესწრნენ აგრეთვე დუშეთის თემის წარმომადგენელნი: ამხ. კალანდარაშვილი და თოთიბაძე. კრების საგანი იყო: 1) თემის თავმჯდომარის დონდოლაძის მოხსენება, 2) ძველი წევრების გადაყენება და ახლების ამორჩევა, 3) თავმჯდომარის დონდოლაძის-მიერ უკანონო მოქმედება და სხვა საკითხები. კრება გაიხსნა ადგილობრივ ექიმ ბიტ-აბრამოვის თავმჯდომარეობით და გიორგი ნათაძის მდივნობით. ბ-მა დონდოლაძემ მოკლე მოხსენება წაიკითხა, სადაც მან აღნიშნა გულახდილად, რომ სხვა და სხვა მიზეზების და დაბრკოლების გამო მუხრანის თემმა ის ვერ გააკეთა, რაც მის დანიშნულებას შეადგენდა და შემდეგ უსურვა მომავალ გამგეობის წევრებს მეტი ენერგია და ნაყოფიერი მუშაობა. მოხსენების შემდეგ კრებამ აარჩია 3 კაცისაგან შემდგარი კომისია და მიანდო მას ბ-ნ დონდოლაძის წინააღმდეგ გვარდიის უფროსის ვასო მაყაშვილის და ანტონაშვილის მიერ წამოყენებულ ბრალდებების გარჩევა. შემდეგ დაიწყო ახალი გამგეობის წევრების არჩევა: თავმჯდომარის ადგილს კანდიდატებათ დასახელდნენ სოფ. [illegible] მცხოვრები კარგად შეგნებული, მუშა ადამიანი მიხეილ გიორგობიანი და მუხრანიდან მიქაძე, მაგრამ არც ერთი არ იქმნა გაყვანილი, ვინაიდან დასახელებული კანდიდატები კრებაზე არ დესწრნენ და მათი თანხმობის რწმუნებულება კრებას არა ქონდა. არჩევნები შემდეგ კრებისთვის გადაიდო,

კოტე.

სარედაქციო კოლეგია.
მთავარი რედაქტორი: ხპ. კედია.